წელიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. კვირა, 6 სექტემბერი 1915 წ. № 87

# საქართველო

ხელის მოწერა და დაბეჭდვა-განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციაში და კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე, საღამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76.

განცხადების ფასი:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ღირება 5 მანეთი.

## დღევანდელ ნომერში 6 გვერდია

## „საქართველოს“ კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდე ღირს 3 მ.— 50 კ.

მოვაგონებთ იმ ხელის მომწერთ, ვისაც ხვედრი ფული არ აქვს გადახდილი გაზეთის გზავნა შეუჩერდებათ.

**მისამართი:** г. Тифлисъ, редакція „Сакартвело“, Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

## ახალი კლუბი

**ერთი კვირის პროგრამა 7—13 ენკენისთვემდე**

**ორშაბათი**—როგორც დიდი დღესასწაულის წინა დღე, არავითარი გასართობები არ იქნება

**სამშაბათი**—ოპერეტა. „მშვენიერი ელენა“ 3 მოქმედ. ოფენბახისა

**ოთხშაბათი**—სინემატოგრაფი—სეანსის შემდეგ დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი.

**ხუთშაბათი**—სინემატოგრაფი—ბაღში დაუკრავს სამხედრო ორკესტრი.

**პარასკევი**—**სინემატოგრაფი**—სეანსის შემდეგ დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი.

**შაბათი**—**ქართული წარმოდგენა**. სპექტაკლის შემდეგ დაუკრავს სიმ. ორკესტრი

**კვირას**—როგორც დიდი დღესასწაულის წინა დღე არავითარი გასართობები არ იქნება.

სინემატოგრაფის დასაწყისი საღამოს 8 1/2 საათზე, წარმოდგენა და სიმფ. კონცერტებისა საღ. 9 საათზე.

სტუმრები კლუბში შესასვლელად იხდიან ჩვეულებრივ ფასს.

## დიდი სახალხო სეირნობა
## ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების სასარგებლოდ

სამშაბათს, 8 სექტემბერს 1915 წ. გაიმართება ხარფუხის საზოგადოების ბაღში (მიხეილოვის პროსპექტი, № 131) დიდი სეირნობა სამი საათიდან. სხვა და სხვა გასართობები ბავშვებისთვის და დიდებისთვის. სინემატოგრაფი, ფატი-შვო, ბედნიერების გასაღები, სამხედრო მუსიკა, საზანდარი და ლეკური. მთელი შემოსავალი გადაიდება ქუთაისის გუბერნიაში წყალ-დიდობისა და მოუსავლობისაგან დაზარალებულთათვის.

ფასი ბაღში შესასვლელი ბავშვებისათვის 20 კაპ., დიდებისათვის 30 კაპ.

## თბილისის სამეურნეო ბანკის არაჩვეულებრივი
## საზოგადო კრება,

რომელიც არ შესდგა 19 ივლისს 1915 წელს წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობის გამო, **დანიშნულია კვირას, 6 სექტემბერს დილის 11 საათზედ** ზემოხსენებულ ბანკის სადგომში. კრებამ უნდა ამოირჩიოს გამგეობის თავმჯდომარე ნაცვლად თ. დიმ. ერ—ძე ჩოლოყაშვილისა, რომელიც არჩეულ იქმნა თბილისის მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლად.

## ქართველ ქალთა ამხანაგობის
### სახელოსნო სკოლაში

## 25 მარიამობისთვიდგან 15 ენკენისთვემდე

ამა წლისა, მიიღებენ მოწაფეთ 13 წლიდგან ვიდრე 16 წლამდე. საჭირო ცოდნა მხოლოდ ქართული წერა-კითხვისა.

აქვე, 1-ლ ენკენისთვიდგან მიიღებენ შესაკერად კაბებს ქალებისას და ბავშვებისას. აგრეთვე ყოველ გვარ საკერავს: თეთრეულს და ნაქარგს. ვერა გაბაანთ ქუჩა № 3

## ახალი სკოლა პანსიონით

**გიმნაზიის პროგრამით**

გაიხსნება საანბანო და მოსამზადებელი განყოფილებებით. ამზადებენ ბავშვებს ქართული გიმნაზიებისა, კერძო სკოლებისა და მთავრობის სასწავლებლებისათვის მეოთხე კლასამდე. დაწვრილებით ცნობების მიღება და ყმაწვილთა ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 9 საათიდგან 1 საათამდე. მისამართი: მამადავითის ქუჩა, № 36, ბინა მარიამ ერისთავისა. 8—7

## კერძო საქალებო 4 კლასიანი სასწავლებელი

**კნ. ანასტასია ლევანის ასულის ჩერქეზიშვილისა.**

(საანბანო, უმცროსი და უფროსი განყოფილება მოსამზადებელ კლასისა I, II, III, IV კლ.)

**მისაღები გამოცდა იწყება ყველა კლასებში 1 ენკენისთვეს**

1 ენკენისთვეს—რუსულ ენაში ყველა კლასებში
2 ენკენისთვეს—ანგარიში
3 ენკენისთვეს—ისტორია და სამღვთო რჯული
4 ენკენისთვეს—გეოგრაფიასი და ბუნების მეტყველობისა.

მისამართი: ალექსეევის ქუჩა № 17.

**სწავლა იწყება 5 ენკენისთვეს.** (10—10)

## გადაწერას საწერ მანქანის
## საშუალებით და საწერ მანქანაზე
**მუშაობის სწავლებას**

**ხელმისაწდომ ფასებში ჰკისრულობს**

## ი. თ. გვათუას კანტორა

**ვერის დაღმართი № 1**

ტელეფონი 17—05

## დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
## კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა. **ბავშვთა, შინაგან** და **ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—6 საათ, ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

## განცხადება

ეკონომიური განყოფილება შავი ზღვის რკინის გზისა ამით აცხადებს იმ პირთა საყურადღებოდ, რომელთაც სურთ მიიღონ თავის თავზედ მოტანა რკინის გზის საჭიროებისთვის შემდეგი სანოვაგისა:

| | | |
|---|---|---|
| 1. პურის ფქვილი ცალი ან პირველ სორტისა | 7,500 | ფუთი |
| 2. მარილი ფუთიან ტომრებში . . | 290 | „ |
| 3. დამარილებული ღორის ქონი (სალა) . | 770 | „ |
| 4. სამარხვო, ანუ მზესუმზირის ზეთი . | 300 | „ |
| 5. ქვიშნის უგრეხელას მარცვალი, Гречн. крупа | 1500 | „ |
| 6. ფეტვი . . . . . | 1500 | ,, |
| 7. მუხუდო . . . . . | 100 | ,, |
| 8. ხახვი . . . . . . | 125 | ,, |
| 9. ძმარში ჩადებული ქარხალი (ბურაკი) . | 1.700 | ,, |

გარდა ამისა ყოველ თვიურად მოტანა

| | | |
|---|---|---|
| 1, კარტოფილისა . . . . | 1,500 | ,, |
| 2. კომბოსტოსი, ახალი ანუ დამჟავებული | 380 | ,, |

ფასები ზემოხსენებულ სანოვაგეზედ უნდა იყოს ნაჩვენები იმ ხარჯებთან ერთად, რასაც იღებს გამომგზავნელი რკინის გზის სადგური. მხოლოდ, რაც შეეხება სხვა ხარჯებს როგორიც გახლავთ სადგურ ახალსენაკამდის ტვირთის მოტანა, შავი ზღვის რკინის გზა თავის თავზე იღებს.

ვისაც სურს ზემოხსენებული სანოვაგის მოტანა იჯარით აიღოს, მათ უნდა განცხადება გაგზავნონ დახურულ პაკეტებით, რომელშიაც ნაჩვენები იქნება განმარტებითი ფასები, და ის რკინის გზის სადგური, რომლიდგანაც უნდა მას ამ სანოვაგის გამოგზავნა. პაკეტებზე უნდა ეწეროს სანოვაგე. განცხადებანი უნდა იყოს გაგზავნილი არა უგვიანეს 15 ენკენისთვისა შემდეგი მისამართით: Сочи, Начальнику хозяйственнаго отдѣла черноморской желѣзной дороги. (6—6)

**ხილეული, მადნეული და სამკურნალო წყლის**

ქარხნები

## მ. ე. ლაღიძე და ამხ.

**თბილისში, გოლოვინის პრ. № 6. ქუთაისში, პუშკინის ქ. № 5.**

**ხილეული წყლის მხმარებელი საზოგადოების საყურადღებოდ!**

ხილეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმრთელობის ინტერესი მოითხოვს: **სვან ყოველთვის** მხოლოდ და მარტო **მიტროფანე ლაღიძის** და **ამხანაგობის** ქარხნის **საუკეთესო** ხილეულ მადნეულის სამკურნალო **წყალი. მხოლოდ ლაღიძის წყალი** მზადდება **უმაღლესი ღირსების ბუნებრივი** მასალებისაგან, განსაკუთრებული წესით ნადუღი და გამოხდილი წყლით. გაუფრთხილდით ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი მეტად გამრავლდა, **მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი ლაღიძის წყალი,** გემო და სუნი საამური აქვს და ჯანმრთელობისთვის სრულიად უვნებელია.

პირველხარისხოვანი
## სასადილო
## „კაფე ბორდო“

მიხეილის პროსპექტზე, № 18 და მიხეილის ქუჩაბანდი № 1.

**ყავა, ყოველგვარი ცხელ-ცხელი საუზმე დილის 9 საათიდან 12 საათამდე. სადილი** 1—6 საათამდე. **სადილი** 2, 3 და 4 თავიანი. აგრეთვე ჩვენებური საჭმელები: ხარჩო, ლომი, საცივი, ხაჭაპური, ნაყინი და სხვა და სხვა ხილის წყალი, ცხელი „პიროჟკები“. თვიურად მოსადილეთ შეღავათი ეძლევათ. სადილს ვგზავნით ოჯახებშიც. სასადილო ღიაა დილის 8 საათიდან საღამოს 11 საათამდე.

პატივისცემით **რაჟდენ იოსელიანი.**

## ქართველ ინტელიგენტთა მიმართ!

ჩვენ განვიზრახეთ დავაარსოთ ალაზანს გაღმით მდებარე მამულებში (სიღნაღის მაზ.), შესაფერს ადგილას

## ინტელიგენტთა ახალშენი

50—70 მეკომურიანი, მამული შეიძინება შეძლების დაგვარად, ხოლო არა ნაკლებ კი **ათი** დესეტინისა თითო მეკომურზე. როცა მსურველთა რიცხვი 40-დე ჩაეწერება (დღემდე 22 განაცხადა ნამდვილი სურვილი), კრება დაინიშნება ქ. თბილისში საქმის მოსაგვარებლად და რწმუნებულების ამოსარჩევად. საჭიროა დაჩქარება, მიჰმართეთ ქ. სიღნაღში მღვდ. **ნიკოლოზ ბარნაბიშვილს და ნიკოლოზ ივ. ახმეტელაშვილს.** 2—უ—3

# ომის ამბები

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**პოლკოვნიკი გადკე.**

გერმანიის სოც.-დემოკრატიის ცენტრალი ორგანო, Vorwärts“-ის სამხედრო მიმომხილველი გადკე ლაპარაკობს თავის წერილში. გერმანიის ჯარის უმახლობელეს მიზნებს აღმოსავლეთის ფრონტზე მხოლოდ მაშინ გაითვალისწინებს კაცი, როდესაც დვინსკი გერმანელების ხელში გადავა.

**კონფერენცია.**

ვარშავაში კონფერენციაა პოლონელ პოლიტიკურ მოღვაწეთა. ვენიდან ჩამოვიდენ უზენაესი ეროვნული კომიტეტის წარმომადგენლები, ავსტრიის პალატის ვიცე-თავმჯდომარე გერინი, რეიხსტაგის წევრი ხუპკო და როსნერი და პოლონელთა ლეგიონერები. კონფერენციის მიზანია გამორკვევა იმისა, თუ როგორ შეითანხმონ რუსეთისა და ავსტრიის პოლონელების მოქმედება. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებს 28 კაცი. პირველ სხდომაზე შეიმუშავეს განსაკუთრებელი პროგრამის ძირითადი პუნქტები, თანამედროვე პოლიტიკურ მიმდინარეობის თაობაზედ.

**მატარებელი: ბერლინ-ვარშავა.**

როგორც ბერლინიდან იტყობინებიან, 26 აგვისტოს გაიხსნა სახალხო მატარებლის მიმოსვლა გამოუცვლელად ბერლინიდან ვარშავაში და წინაამდეგ. ბერლინიდან ვარშავაში წამოსვლა შეიძლება ყოველგვარ ფორმალობის გარეშე, ხოლო ვარშავიდან ბერლინში წამსვლელმა წინასწარად უნდა წარმოადგინოს მოწმობა რომ იგი განწმენდილია სხვა და სხვა მწერისაგან. მატარებლებს თან ახლავს ვაგონ-რესტორანები.

**მაძებარი პოლიცია ვარშავაში,**

ბერლინიდან ცნობაა, ვარშავაში გერმანიის მთავრობამ დააწესა მაძებარ პოლიციის შტატიო.

**გერმანელი სათნო დები.**

პეტროგრადში ჩამოვიდენ ეს რამოდენიმე დღეა სამი გერმანელი სათნო და: გრაფის ასული იკსკულ-ფონ-გილდებრონდტი, ჰაასოფი და ვალსლებენი. მიზანი მათი ჩამოსვლისა ისაა რომ ადგილობრივ გაეცნონ გერმანელ ტყვეების მდგომარეობას.

**ფინლიანდიის სეიმი.**

მთელი ფინლიანდიის პრესა მოითხოვს სეიმის მოწვევას. მთავარ საგნად სეიმის სხდომებისა ასახელებენ რუსეთთან დამოკიდებულების და ურთიერთობის საკითხს.

**რა სწადიანთ მათ ბალტიის რაიონში.**

გერმანელი ტყვე ოფიცრები ამბობენ, ფონ-ბულოვის ჯარის მისწრაფება დღეს-დღეობით რიგისა და პოლესიეს რკინისგზის ქსელის დაჭერაა იმ მიზნით, რომ რუსის ჯარი ორ ჯგუფად გაჰყონ, ჩრდილოეთის ჯგუფად და სამხრეთის ჯგუფად. განსაკუთრებულ ყურადღებას გერმანელები აქცევენ რიგას. ვიდრე მარცხენა ფრთა რიგიანად გამაგრებული არ არის, გერმანელები ვერ შესძლებენ ჟინით გეგმის აღსრულებას ბალტიის პირას მდებარე ადგილებში. ამიტომაც რიგის დასაპყრობად გერმანელებს ჯარები სხვა ადგილიდან გადმოყავთ.

**ტაუბე რიგის თავზე.**

29 აგვისტოს დილით, რიგის თავზედ გამოჩნდა გერმანელი ჰაეროპლანი, რომელმაც სამი ყუმბარა დაანარცხა რკინის გზის ლიანდაგს ალექსანდრეს ჭიშკართან. ყუმბარებს არავითარი ზარალი არ მოუტანია ლიანდაგისთვის.

**მინსკი.**

ვარშავიდან მინსკში გადატანილი დაწესებულებები, მინსკიდან სხვაგან გადააქვთ. შაქრის კრიზისის შემდეგ დადგა პურის საშინელი კრიზისი. პურის მცხობელებმა განუცხადეს ქალაქის თავს, უფქვილობის გამო მცხოვრებთა მოთხოვნილებას ვერ ვაკმაყოფილებთო.

**მოსალოდნელი განხეთქილება ამერიკასა და ავსტრია-უნგრეთ შორის.**

ვაშინგტონიდან იუწყებიან, ავსტრია-უნგრეთის მთავრობა ალბად არ დაყაბულდა ამერიკიდან გაიწვიოს თავისი ელჩი დიმბა, რომელსაც, თანახმად მისივე კერძო წერილისა, ბრალსა სდებენ გაფიცვის მოწყობის საქმეში ამერიკის

## ქ. ბორჯი

## ექიმი ნ. შ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

ქარხნებში, ხოლო მეორეს მხრით ამერიკული გაზეთები მოითხოვენ შეერთებულ შტატების მთავრობისაგან, ვენიდან დაიბარონ ამერიკის ელჩი. ეტყობა ამერიკის პრეზიდენტი ვილსონიც ამ შეხედულებას იზიარებს.

**ადრიანოპოლის გენერალ გუბერნატორის დაჭრა.**

სტამბოლიდან იუწყებიან ადრიანოპოლის გენერალ გუბერნატორს ჰაჯი-ადილბეის ბოროტგამზრახველებმა რევოლვერი დაახალეს ავტომობილში. სასიკვდილოდ დაიჭრა გუბერნატორის თოთხმეტი წლის ვაჟი, თვითონ უვნებლად გადარჩა.

**პოჩტალიონებად ქალები.**

გერმანიის ფოსტაში მამაკაცთა ნაკლებობის გამო პოჩტალიონებად დიდძალი ქალია ჩარიცხული.

**გროდნოს გერმანელი გენერალ გუბერნატორი.**

კელნიდან იტყობინებიან გერმანიის სამხედრო გუბერნატორად გროდნოში დაინიშნა ინფანტერიის გენერალი ფონ-ნიხელდიო.

**გერმანიის ჯარები სერბიის ფრონტზე.**

ბუქარესტის პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ ბალკანეთში მალე დიდი ამბები დატრიალდება, რადგანაც სამხრეთის ფრონტზე ავსტრია-გერმანიას დიდძალი ჯარი გადაყავსო.

**საზღვრის დაკეტვა.**

ვენაში გამოაქვეყნეს ოფიციალი უწყება უნგრეთის საზღვრების დაკეტვის თაობაზე. უწყებაში გაფრთხილებაა იმ უსაფუძვლო ხმების წინააღმდეგ, თითქოს ეს მიღებული ზომა რუმინიის სამტროდ იყო ჩადენილი.

**გერმანია-ამერიკის ურთიერთობა.**

„Daily Telegraph"-ს ვაშინგტონიდან ატყობინებენ, კვლავ მორიგ საკითხად გადაიქცა გერმანიასა და ავსტრიის შორის დიპლომატიური ურთიერთობის მოსპობის საკითხი.

# შტაბის დეპეშები

თბილისი, 4 სექტემბერი. 2 სექტემბრამდე ზღვის პირის რაიონში სროლა იყო. ოლთისის მიმართულებით რუსის მზვერავ რაზმს შეჯახება მოუხდა ოსმალებთან, ტევთან და აშმეშენთან. ვანის მიმართულებით რუსის რაზმი შეებრძოლა ოსმალებს სოფელ ანგთან. დანარჩენ პირზე ცვლილება არ მომხდარა.

პეტროგრადი, 4 ენკ. ოფიციალი. რიგის რაიონში პატარ-პატარა რაზმთა შეჯახება ჰხდება მდ. ეკაუს ნაპირებზე. ასევე ჰხდება დასავლეთით დვინაზე, იაკობშტადტისა და დვინსკის შუა. დვინსკის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით გერმანელები იერიშებს განაგრძობენ. უმთავრესად იგინი უტევენ დვინსკის შარაგზისა და იარვას ტბის შუა, სკენციანის ჩრდილოეთით, სოფ. დავგელიშკთან. ეს სოფელი უკვე მტრის ხელში გადავიდა. ვილნოს რაიონში და მის აღმოსავლეთით დაჟინებითი ბრძოლა შესამჩნევად ვითარდება, მდ. ვილიის მარცხენა ნაპირზე რკინის გზის რაიონში ვილნოვო სვენციანისა და მოლოდეჩნოვილეიკის მხარეს გერმანელებმა ზოგიერთგან ნოვოვილეისკ-მოლოდეჩნოს რკინის გზას მიაღწიეს. ამ რაიონის ბევრ ადგილას და როძიოლის ტბის რაიონში, ნაროჩდა სვირთან, სვენციანის სამხრეთ-აღმოსავლეთით კარგა მოზრდილ ცხენოსანთა რაზმებთან ჰხდება შეჯახება. გერმანელთ ვილენსკის მიმართულებით მეიშაღოლის სამხრეთ-აღმოსავლეთით სწრაფი და მედგარი იერიშები მოაქვთ. ორანის სამხრეთ-აღმოსავლეთით გერმანელებმა განმეორებითი იერიშები მოიტანეს სოფ. ეისმონტზე და დაციშკოზე, მაგრამ უკუგდებულ იქმნენ. დაციშკოს სამხრეთით მკაცრი ბრძოლის შემდეგ გერმანელებმა აიღეს სოფელი რაძიუნი. სოფ. იაკუშოვტთან ნოვი დვორისა და ლიდის შუა გერმანელთა იერიშები მოგერებულ იქმნა. მტერი მდ. შართან მოვიდა, იერიში მიიტანა ამავე სახელწოდების სოფელთან მდგარ რუს ჯარებზე და შემდეგ მდინარის მარჯვენა ნაპირზე გადავიდა. კობრინ-პინსკის რკინის გზის გასწვრივ უმთავრესად ბრძოლა ჰხდებოდა სადგურ მოლტკოვიჩთან, პინსკის რამდენიმე დასავლეთით დერჟანოსთან ბრძოლაში რუსებმა კვლავ შესამჩნევად გაიმარჯვეს. რუსის ჯარები შეიჭრნენ დერჟანოში, სძლიეს მტერს სოფ. რუდა-კრასნაიასთან და ტყვედ წამოიყვანეს 7 ათასი ჯარისკაცი 4 ტყვიისმფრქვეველითურთ. რუსებმა კონტრიერიში მიიტანეს საზღვრის სოფ. გორტოვზე, ქალ. ვიშნევეცის დასავლეთით. მართალია, სოფელი ვერ აიღეს, მაგრამ ტყვედ კი წამოიყვანეს 12 აფიცერი და 540 ჯარისკაცი და სამი ტყვიისმფრქვეველი. სოფ. ძამულიცთან, მდ. სტრიპზე, ბუჩანას ჩრდილოეთით, ტყვედ წამოიყვანეს 14 აფიცერი და 800 ჯარისკაცი. სოფ. იანოვკა და პელევა, ბუჩანის ჩრდილო-აღმოსავლეთით, რუსის ჯარებმა დაიჭირეს. აქ მტერმა უთავბოლოდ დაიხია. რუსის ჯარებმა თამამი მოქმედებით როვნოს რაიონის სამხრეთით მარჯვედ შეაჩერეს მტერთა კონტრიერიშები.

# რისი იმედით?!

[illegible]

ყველას გვახსოვს, რა სინამდვილე უძღოდა წ[illegible]ნ და რანაირ ფსიხოლოგიურ ვითარებაში დაიბადა ძლიერი მოთხოვნილება სახელმწ. სათათბიროს მოწვევისა. ის-ის იყო ომის ცვალებადმა ღმერთმა თავისი მახვილი რუსის მხედრობის საწინააღმდეგოთ მომართა, და მრავალ მილიონიან ჯარის ერთობლივი უკან-უკან დაწევა აუცდენელ სინამდვილედ გადაიქცა. საომარ მასალას მოკლებულ რუსის მხედრობას თავის გადარჩენისა და თავდაცვისათვის უნდა ეზრუნა, ვიდრე ომის უკეთესი პირობები არ დაუდგებოდა. ჯარს უკან მდგომი მშვიდობიანი რუსეთი აშფოთდა ასეთ მოვლენის წინაშე და ნერვიულმა მღელვარებამ მოიცვა. გარემოება დღე-დღეზედ უარესდებოდა. შეკრთა საშინელი პასუხისმგებლობის წინაშე თვით მთავრობაც; თანაც ისიც ცხადი შეიქნა მისთვის, რომ მარტოდ-მარტო, გამოყოფილად, ვერას გახდებოდა, რომ ქვეყნის გადარჩენისა და დახსნისათვის მას უნდა დაეძახნა საზოგადო ინიციატივისათვის და გაემართა ფართე თანამშრომლობა საზოგადოების ცოცხალ ძალებთან. ამ მხრივ პირველი ნაბიჯი სახელმწ. სათათბიროს მოწვევაში უნდა გამოთქმულიყო. მთავრობას დაუდგა ფსიხოლოგიური ძ[illegible]ბის მომენტი, საქვეყნო განსა[illegible]ელის დროს ხალხის წარმომადგენლ[illegible]თან ერთად ყოფილიყო და მთელი თვე-ნახევარის განმავლობაში კიდე[illegible]ა ჰქონდა მათთან მუდმივი კონტაქტი.

საკანონმდებლო დაწესებულებათა სულის კვეთებაც თან და თან ეგუებოდა მთავრობასთან მჭიდრო თანამზრუნველობის იდეას და თვით ამ დაწესებულებათა მუშაობის პროცესში ირკვეოდა სახე და ხასიათი თანამშრომლობის ნიადაგისა. ეს პროცესიც დამთავრდა. ორთავე საკანონმდებლო დაწესებულებამ საპარლამენტო უმრავლესობისაგან შეჰკრა ეგრედ წოდებული პროგრესიული ბლოკი, რომელმაც სრულიად უწყინარი სამოქმედო პროგრამა მიიღო და თავისი ხელი მთავრობას გაუწოდა.

# პეტროგრადში

(საკუთარი კორესპონდენტიდან)

II

**„გამოქცეულები".**

მკითხველმა კარგად უწყის, რომ ეხლა მთელი რუსეთი აწიოკებულ პოლონეთიდან გამოქცეულ მოსახლეებით არის სავსე. მათი პატრონობა განსაკუთრებით წილად ხვდა მოსკოვსა და პეტროგრადს. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი საზოგადოება დაარსდა, რომელთა უპირველეს მოვალეობას მათი მოვლა-პატრონობა შეადგენს და მთავრობამაც აუცილებელ საჭიროებად აღიარა მათი ბედის უახლოეს მომავალში გადაწყვეტა, გამოქცეულთა მდგომარეობა ჯერ-ჯერობით ისეთი ცუდია და თითქმის ყოველივე ზრუნვას მოკლებული, რომ ცქერა მათი საცოდაობისა სიბრალულში აგდებს თვით უსასტიკეს მაყურებელს. ნახევრად ტიტველნი, უსახლ-კარო, მშიერ-მწყურვალნი დაეხეტებიან ეზოდან ეზოში და ბოდიშიანი თხოვნით საჭმელ-სასმელს იხვეწებიან. ხშირად შეხვდებით ქუჩაში მოინტელიგენტო პოლონელს, რომელიც იძულებული გამხდარა მათხოვრად გადაქცეულიყო და მით როგორმე შიმშილისაგან თავი დაეხწია. ყოველდღე მატარებელს კვლავ აუარებელი ხალხი მოჰყავს, რომელნიც მტრის ბატონობას გამოჰქცევიან,

ამას წინ[illegible] ერთ ნაცნობ პოლონელ ახალგაზრდას [illegible]ვხვდი. მისი წინადადებით კათოლიკეთა ეკლესიაში წავედით. პოლონელების უქმეა. მთელი ეკლესია, ეკლესიის ეზო და წინ მდებარე ქუჩა ხალხით გაჭედილია. უმეტესობა დარბეული ადგილებიდან გამოქცეულია. წირვა გათავდა და პატრიც საქადაგოდ ემზადება. მედგარი, მკვეთრი ხმით მოუწოდებს იგი მლოცველებს მშვიდად გადაიტანონ ღმერთისაგან მოგზავნილი განსაცდელი და ლოცვაში ეძიონ ძალა და მხნეობა. ჩემს გვერდით უკმაყოფილო ჩურჩული მესმის. მოხუცებული ქალი და ორი შუა ხნის კაცი პატრის სიტყვებზე უკმაყოფილოდ შენიშნავენ პოლონურ ენაზე.

— რას ამბობენ? ვეკითხები ჩემს ნაცნობს.

— პატრზე ამბობენ, რომ მას სახლი აქვს და მაძღარია და მიტომ ჰქადაგობს ეგრეო.

ეკლესიიდან გამოქცეულთა თავშესაფარში მივდივართ. გზაში ჩემი ნაცნობი იმ ტანჯვაზე მიამბობს, რომელიც მისმა ნათესავებმა გამოიარეს.

— 5 საათზე გამოაცხადეს, რომ ყველანი მზად ყოფილიყვნენ, ქალაქი დაეტოვებიათ, ხოლო 8-ზე პირველი მატარებელი უკვე მზად იყო. სახლ-კარს და ქონებას აღარავინ დაეძებდა, ოღონდ როგორმე თავი დაეღწიათ. ქალაქში დარჩენა კი არაფრით არ შეიძლებოდა. ვაგონებში, რომლებსაც აწერიათ: „8 ცხენი ან 40 ჯარისკაცი", 100-ზე მეტი ჩაყარეს. სადგურებზე გადმოსვლა აკრძალული იყო და მთელი კვირა ამ პირობებში იმოგზაურეს. გზაში 7 კაცი გარდაიცვალა. ისინი, ვინც საზოგადოდ მიჩვეულნი იყვნენ საერთაშორისო მატარებელში სეირნობას, იძულებულნი იყვნენ $3^1/_2$ გირვანქა პურზე გამოსულიყვნენ. მე-7 დღეს როგორც იქნა პეტროგრადს მოაღწიეს და აქ დიდი თხოვნა დასჭირდათ, რომ დაეტოვებიათ და ციმბირისკენ არ გაეგზავნათ, საითკენაც გამოქცეულთა მთელი პარტიები იგზავნება.

ეს განიცადეს მათ ვინც, შედარებით, შეძლებულნი და გავლენიანი იყვნენ და თქვენ წარმოიდგინეთ რა უნდა დამართოდათ მათ ვისაც არც შეძლება და არც გავლენა არა აქვთ.

უკვე თავშესაფარს მიუახლოვდით.

აუარებელი ხალხი სადილს ელის.

გამოქცეულთათვის განსაკუთრებით მოწყობილი სასადილო დღეში რამოდენიმე ათას კაცს კვებავს, მაგრამ სად გასწვდება იმ ზღვას ხალხისას, რომელიც სასადილოს აწყდება და ხშირად ისევ მშიერი ბრუნდება.

პეტროგრადში 30,000 მეტი გამოქცეულია და ყოველ დღე ვინ იცის რამდენი ემატება. ჩვენი მისვლა შეამჩნიეს.

— ერობის კავშირიდან ხომ არა ხართ?

— სამხედრო-სამრეწველო კავშირიდან ხომ არ გამოგგზავნესთ? გვეკითხებიან ყურადღებით აქეთ-იქიდან.

სამხედრო-სამრეწველო კავშირი ბევრს აძლევს სამუშაოს, მაგრამ ვისაც სპეციალი ცოდნა არა აქვს უადგილოდ რჩება.

— მე კავშირიდან არა ვარ, გაზეთის თანამშრომელი გახლავარ.

— ეხ! სტყუიან თქვენი გაზეთები, არასფერს მართალს არა სწერენ.

— ხალხს ატყუებენ, თითქოს კარგ ყოფაში ვიყოთ, მესმის გაჯავრებული ხმები.

ერთ მათგანს ვეკითხები თუ რად არიან ესე გულგატეხილნი გაზეთებზე.

— რადა და იმისთვის, რომ გაზეთებში სწერენ, თითქოს ჩვენ ბინას გვაძლევენ, გვასმევენ, გვაჭმევენ გვივლიან და ნამდვილად კი ციმბირში გვაგზავნიან, რომ გზაში დავიხოცოთ.

მეც ვსდუმვარ, რადგან საპასუხო არაფერი მაქვს. ვუყურებ მათ გაჭირვებას და ენა არ მიბრუნდება რომ რითიმე დავამშვიდო.

— მე აქა ვარ და ჩემი შვილი ვინ იცის სად გადევნეს—მეუბნება ჭაღარა შერეული ქალი —

— ჩემი ძმა ჭკვიანად მოიქცა: ვარშავაში დაიმალა, არ წამოვიდა და მე კი აი რა ყოფაში ვარ—მეუბნება მეორე.

და რამდენსაც მეტს გამოელაპარაკებით მით უფრო მეტ საცოდაობას გაიგონებთ.

და ვინ იცის რამდენ ტანჯვა-წვალებას განიცდიან იმ აუარებელ ხალხში, რომელიც ფართოდ მოედო მთელ რუსეთს და შიშველ-ტიტველნი, მშიერ-მწყურვალნი დაეხეტებიან ეზოდან ეზოში.

ლ. ჯ—იძე.

პეტროგრადი 29 აგვ.

# ახალი ამბავი

**ქუთაისის სემინარია.** როგორც დანამდვილებით გადმოგვცეს, უწმინდესმა სინოდმა შეიწყნარა საქართველოს ეგზარხოსის პიტირიმის შუამდგომლობა და დაადგინა, ქუთაისში გაიხსნას სასულიერო სემინარია.

**ქველმოქმედება.** ცნობილ ქველმოქმედს ზუბალაშვილს 1908 წლიდან დღემდე სასტიპენდიოდ შეუწირავს ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებისათვის 44.000 მანეთი.

**მოუსავლობის გამო,** დღეს, 6 სექტემბერს, გორში წვრილ საკრედიტო ამხანაგობათა წარმომადგენლების კრება უნდა შესდგეს. საგანი კრებისა ის არის, რომ გამოარკვიონ მოუსავლობის რაოდენობა ჩვენში და გამონახონ საჭირო თანხა სათესლესა და საკვების შესაძენად. ამ კრებას დაესწრებიან ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მხრივ ბ-ნი გიორგი ცინცაძე, ხოლო ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების მხრივ ბ-ნი ე. კარბელაშვილი.

აღნიშნულ საგნისათვის ზუგდიდის მაზრის საკრედიტო ამხანაგობათა წარმომადგენლებს 13 სექტემბერს ექნებათ კრება. ამ კრებაზე მიწვეული არიან ქართულ საქველმოქმედო და სასოფლო სამეურნეო საზოგადოებათა წარმომადგენელნი.

**თავდასხმა.** 4 სექტემბერს ნაშუადღევის პირველ საათზე, ახალ სასაკლაოს მახლობლად 6 შეიარაღებული კაცი თავს დაესხა შეძლებულ ყასაბს, სოლომონ არუშანოვს და 6.000 მანეთი წაართვეს. სულ მცირე ხნის განმავლობაში იქ გაჩნდა პოლიცია, მაგრამ დამნაშავეთა კვალს ვერ მიაგნო.

**კრება.** 8 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე, კრება ექნება სახალხო უნივერსიტეტთა საზოგადოების გამგეობას. განსახილველია ანგარიში წინად გამართულ ინტერნაციონალურ დილისა და სექციების მოხსენებანი და აგრეთვე არჩეულ უნდა იქმნას გამგეობის მეორე მდივანი.

**აჭარლების სასარგებლოდ.** თბილისის ტრამვაის ქართველმა მოსამსახურეებმა 120 მან. 75 კაპ. გადასდვეს ომისაგან დაზარალებულ ქართველ მაჰმადიანთა სასარგებლოდ. ეს ფული ტრამვაის [illegible] თბილისის პოლი[illegible] უკანასკნელმა ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობას გამოუგზავნა.

**ხოლერა.** 4 სექტემბერს ქალაქის ლაზარეთში მიიყვანეს ხოლერიანი 13 და ხოლერის ნიშნებით 2 კაცი. გარდაიცვალა ხოლერიანი 2 და ლაზარეთში იმყოფებოდნენ გუშინ ხოლერიანი 153, ხოლო ხოლერის ნიშნებით 11 კაცი.

**გადამდები სენი.** 5 სექტემბერს ქალაქის თავშესაფარში იმყოფებოდნენ: შავი სახადიანი 56, ქუნთრუშიანი 35, საოფლიანი 30, ხუნაგიანი 24 და მუცელაიანი 3 კაცი.

**პოლიცმეისტერის მოხსენება.** ბ-ნ თბილისის პოლიცმეისტერს გუბერნატორისთვის მოხსენება წარუდგენია, რომელშიაც ამბობს, რომ ვენერიულ ავადმყოფთათვის ქალაქის თვითმართველობას საავადმყოფო არ მოეპოება და ასეთ ავადმყოფს არც ერთ ქალაქის საავადმყოფოში არ ღებულობენო. ამის გამო ვენერიული ავადმყოფნი ღვთის ანაბარად არიან დარჩენილნი და რა თქმა უნდა, სენს გაავრცელებენო. ბ-ნ პოლიცმეისტრის სიტყვით, ასეთი შემთხვევა კიდევაც ყოფილა: ვენერიულ ავადმყოფობისაგან ძისს ძმისწულს გადასდებია სენი. „ნუთუ პოლიცია არის ვალდებული და არა ქალაქის თვითმართველობა, ავადმყოფთათვის საადმყოფო ეძიოსო?"—კითხულობს ბოლოს თავისს მოხსენებაში ბ-ნი პოლიცმეისტერი,

**ებოძა თეთრი არწივის ორდენი** გენერალ-ლეიტენანტ ვოლსკის, კავკასიის სამხედრო ოლქის უფროსს.

მოსკოვის ქალაქის საერთო კავშირის კომიტეტმა განსვენებულ ვარლამ ლეონის ძე გელოვანის სახსოვრად 3000 მანეთი გადასდო სვანეთში სახალხო სახლის დასაწესებლად.

**მომხმარებელი საზოგადოება „აღორძინება".** ამ მცირე ხანში შეუდგება მოქმედებას, რადგან შენობა მაღაზიისათვის უკვე იშოვნა დამოჟნის ქუჩაზე, ნაძალადევის ხიდთან. საზოგადოების გამგეობამ ჯერ-ჯერობით 500 მან. გადასდო შაქრის საყიდლად და დაადგინა, საჭიროა საქონლის შესაძენად კავშირი იქონიოს თბილისში არსებულ მომხმარებელ საზოგადოებათა ბიუროსთან.

**ისევ გამოქცეულები.** როგორც ეპისკოპოსი ნერსესი იტყობინება ეჩმიაძინიდან, ვანის ვილაიეტიდან კიდევ 25.000 სომეხი გამოქცეულა ამიერ-კავკასიაში. რამდენიმე ათასი კაცი სპარსეთში წასულა.

**საჩივრის განხილვა.** საბურთალოს აუდიტორიის რამდენიმე წევრს აუდიტორიის გამგეობისათვის საჩივარი მიურთმევია, რომელშიაც მომჩივანნი ამტკიცებენ, რომ წარსულ საზოგადო კრებაზე უკანონოდ იქმნენ არჩეული გამგეობისა და სარევიზიო კომისიის კანდიდატებიო. ამ საჩივრის განსახილველად დღეს, დილის 10 საათზე, საგანგებო კრება უნდა შესდგეს ხსენებულ აუდიტორიის წევრთა.

**სურსათი.** 3 სექტემბერს თბილისში მოიტანეს: ფქვილი 11 ვაგ., შაქარი 1 ვაგ., მარილი 3 ვაგ., ხილი 1 ვაგ., საზამთრო 10 ვაგ., ქერი 4 ვაგ., კირი 1 ვაგ., კარტოფილი 277 ფუთი, კარაქი 464 ფუთი, ყველი 125 ფუთი, კვერცხი 74 ფუთი, ახალი თევზი 314 ფუთი, რკინეულობა 314 ფუთი.

# ივერიის ეკლესიის შესახებ

V

(დასასრული, იხ. „საქართ." № 86).

თუმცა ბერძნებმა გადასწყვიტეს ერთხელ და სამუდამოდ ფეხი აუდგან ქართველებს იმათ ნაჭირნახულევს მონასტერში, მაგრამ „ღმერთი არ გასწირავს კაცსა მისგან გაჩენილსა". ბერძნებთაგან ქართველების უფლებათა ფეხქვეშ გათელვამ მოახწია საქართველომდი! სამღვდელოებამ, თავად-აზნაურობამ, ინტელიგენციამ და ხალხმა ყურში ბამბა გამოიძვრეს. შეერთებულის ძალით უნდოდათ ყველას დაბრუნებოდათ მათი ქონება. იმერეთის და გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსებმა ერთხმად მოსთხოვეს ბერი ბენედიქტე ბარკალაიას პირით პატრიარქს ქართველი ბერების დევნაზე ხელი აეღოთ ბერძნებს. ბენედიქტე ეახლა სტამბოლის პატრიარქს იოვანე მესამეს და სთხოვა დახმარება, მაგრამ მან თავი შორს დაიჭირა. მხურვალე მონაწილეობა მიიღო ამ საქმეში თბილისის და ქუთაისის თავად-აზნაურობამ. 1879 წლის დადგენილებით ეთხოვა მთავრობას: დაბრუნებოდა ივერიის ლავ-

171 ეროვნული ბიბლიოთეკა

## დაჭრილი ორბი

ვაჟა-ფშაველას ხსოვნას

სალი, პიტალო კლდის მწვერვალოზე,
ფრინველთ დიდება ორბი ჰბუდობდა,
გუშაგი მთათა, მფლობელი ველთა,
ცისა სივრცესაც ჰფლობდა, მეფობდა.
ერთხელ, ცისკარზე დილა ადრიან
დაეშვა დაბლა, ბარს ჩაუქროლა,
შემდეგ ლამაზად შეჰკრა კამარა,
ფირუზ ეთერში დაიწყო სრბოლა.
ფრთა-ფრთას შემოჰკრა, შეინავარდა,
შეეთამაშა მზეს მომღიმარსა,
ეკვეთა მკერდით, შეუპოვარი,
შორით წამოშლილ ღრუბელთა ჯარსა.
ამ დროს ვიღაცამ იმარჯვა შვილდი,
მოსწყდა ისარი ზუზუნ-სრიალით,
და ლაღად მსრბოლელ ორბს განგმირულსა
მკერდით გადმოსქდა სისხლი თქრიალით..
დაჭრილი ორბი ნაპრალზე ეგდო,
არა სჩიოდა, ისე კვდებოდა,
მშობელ მიდამოს, ნაცნობ ადგილებს
ნაღვლით ალსავსე ეთხოვებოდა.
თვალნი ლამაზნი—რისხვისა მცემნი
აწ სამუდამოდ ეხუჭებოდენ,
ქვებზე ნახტომნი ბროლისა ცვარნი
მას საფსალმუნოდ ეპკურებოდენ.

ს. ერთაწმინდელი.

## საინგილოში



სოფ. ლექიუში.
ყოფილი მონასტრის ერთი სენაკთაგანი, რომელიც მტრის განადგურებას გადაურჩა.



ინგილო ქალები ეროვნულ ტანისამოსში.



ღარიბი ინგილო.

## ბედის ღიმილი

ესკიზი.

მეგობარო!

მიყვარდა... მიყვარდა... მე მას უძლვენი ჩემი ოცნებათა სამეფო მთელი და ტარტი გულის, ჩემი გულის უებრო ტარტი ვაჩუქე იმას! ოჰ, ყველა ქალი—ვისაც მკერდით ამოსკდება სიტყვა: „მიყვარხარ“ ღირსია ტარტის—რადგან სიბრძნე მათი ყოფნისა სიყვარულია.

მაისი იყო. ცის დასავალს ენთო კოცონი მომაკვდავ მზისა და სხივთა კვნესა უკანასკნელ „მშვიდობით“-ს უძლვნიდა მიწას...

ორნი ვიყავით—მე და ის—წყარო ჩემი ჭეშმარიტების...

ვიყავით მთაზე. მშობლიურ მთაზე—რომლის მაღლობზე ამართულიყო დანგრეული კოშკის კედლები და სდარაჯობდნენ ჩვენს იდუმალს აღფრთოვანებას. გვათრობდა სიო და გაზაფხულის უკვდავი ჟინი გვინთებდა თვალებს. ცის ტატნობზე კრთოდა ღიმილი მარადისობის და ღრუბლები უმანკონი—ვით ბავშვის სული, გვითხრობდნენ ნანას. ჩვენს წინ გადაშლილიყო წარმტაცი ველი ჩვენი ზურმუხტი სამშობლოისა, რომელშიაც ჩაქარგულიყო მხიბლავი ზღაპრები ჩვენი ქარიშხლიანი წარსულისა—მოწამე იყო კოშკის ნანგრევი...

მხიბლავი ზღაპრები იმ დროისა ჩვენს ქვეყანაში—როდესაც ყველას ესმოდა მშვენიერი სიბრძნე ყოფნისა—სიყვარული...

— შეხედე!—ვუთხარი ციალას მე და ქოჩორა ზურმუხტ სოფლისკენ ვუჩვენე ხელით.

მე მას ვუამბე ბევრი რამე ჩვენი წარსულის. ვუამბე ისა—თუ როგორ ძლიერ სჩქეფდა აქ სიცოცხლე ყოველთვის, მუდამ... თუ როგორ იყო—რომ საშინელ მონობის დროსაც ქართულმა გულმა არ იცოდა რა არის შიში და უკიდურეს სიმცირის დროსაც რაზმავდა ძალებს სამშობლო ჩვენი და ბრძოლის ჟინით ანთებული, სავსე გმირებით—რისხვას აყრიდა დამშინებელს მრავალს, ურიცხვ მტერს... ვუამბე ისიც—რომ მაშინდელ უებრო გმირებს, თავდადებულებს და განწირულებს—ზენაარი უგზავნიდა მხოლოდ ერთ ჯილდოს და ეს ჯილდო იყო მისდამი ძღვნილი უმანკო ტრფობა ქართველი ქალის... თავდები და გმირობა ვაჟის და სიყვარული მისი თავისუფლებისადმი იყო უზომო... და ასე სამშობლო ჩვენი იყო მუდამ კერად ბრძოლისა და სამშობლოს სიყვარულისა.

ეხლა არ არის ეს. აოხრებული,

ჩვენი ქვეყანა წააგავს ნანგრევს—რომლის აღდგენა მოითხოვს ბრძოლას... უყივის გმირებს... კვნესს საფლავი წინაპრისა და ხსნა კი არ სჩანს... ძილი, ძილი ირგვლივ... ბოროტებას შეუსხავს ფრთები. უაზრობაა გამეფებული. სიყვარული დაწიხლულია

ჩვენი სამშობლო ეძიებს მებრძოლთ, მსხვერპლს ითხოვს იგი—და ყველა ძალებს ის უბრძანებს ამოძრავებას... მე ვიქნები პირველი მსხვერპლი...

მისმენდა ციალა.

მეგობარო!

მე ვიდექი და ხმა მაღლა ვლაღადებდი ზემოაწერილს... მაშინ მე ვიყავ ობოლი სულით მაგრამ სავსე უკვდავ იმედით... ვიყავი ცეცხლი... არ დავათავე მე სიტყვები მკერდში და გულში—რომ მე მივიღე ჯილდო ზეცით გამოგზავნილი...

ჩემს მკერდს მოეყრდნო თრთოლვით ციალა სული და ხელი მან მოჰხვია ჩემს მაღალ კისერს...

მეგობარო!

დადუმდა ენა. გარინდდა ნება. და შეწყდა წამით ჩემს ძარღვებში ჩქეფა სისხლისა...

ციალა! იცი შენ რა არის ციალა? სიყვარული? ანგელოზი!

გიშრის თმა—მრავალი, მრავალი.. შავთვალა, შავთვალა... მარწყვის ტუჩები. კბილები ბროლის. ყელი მაღალი—მარმარილოსი მკერდი ფეთქს. და სუნთქვა მისი არის ნანინა. მხიბლავი, ტკბილი ნანინა, მათრობელი გამგიჟებელი... მკლავები და თითები—დათლილი—ქანდაკებასავით... ცქერა ღრმა—ვით ზაფხულის უმთვარო ღამე—ხმა ანგელოსის სიმღერა წყნარი—აი რა არის ციალა...

მეგობარო!

მან კოხტა თავი დამაყრდნო მკერდზე, ხელები მომხვია კისერზე და თრთოლვით მითხრა:

— მიყვარხარ, მიყვარხარ ვახტანგ!

ჰფეთქდა სული. ობლობა მოკვდა. მთელ ქვეყანას ყვავილები გადაეფარგლა. მე გავხდი იმ წამსვე ლომად. სული გაღმერთდა. ღმერთს მივეცი რაღაც ფიცი... მეგობარო—ეს ზღაპარია, ლეგენდა—ბედის ღიმილი... ეს ერთხელ იყო...

ხელი მოვხვიე საროს... დავუშალე მას გიშრის თმა. მივიკარ მკერდს. და თავგადახრილს ჩავეკონე მარწყვის ტუჩებში—ჩემო სიცოცხლევ?

მზის სხივები იმ წამსვე ჩაქრნენ...

თ. იანელი.

## ცხოვრება

(დასასრული)

XVI

ბოშამ სამიოდე თვეს სწრთვნა პატარა ცქრიალა და კაკოლა, ვიდრე სასურველად მოამზადებდა ერთს მომღერლად, მეორეს სამაიმუნოდ. მელანოს გული უკვნესოდა, შვილები ჩემი ხელით რათ დავყიდეო, მაგრამ რას იზავდა, როდესაც ცხოვრება მხოლოდ უდრტვინველ დამორჩილებას მოითხოვდა. ბოშა კი სიხარულით ცასა სწვდებოდა, რომ მოულოდნელად მოგების საღსარი აღმოუჩნდა. ორივე ბავშვი შვილთან ერთად თვითონვე დაჰყავდა, ვიდრე ქუჩა-ქუჩა სიარულსა და მათხოვრობას შეაჩვევდა. როდესაც ბავშვები დახელოვნდნენ, ბოშამ ამოისუნთქა და ერთგვარი „ხაზეინობა“ დაიწყო. ეხლა მონაგარის ანგარიშში იყო და მელანოს ნამცეცს იმდენს უყრიდა, რამდენიც ბავშვების საზრდელად დასჭირდებოდა. უნდა გენახათ პატარა ცქრიალა, რა საოცარი სისწრაფით შეისწავლა ყოველი ხერხი, რომ მნახველისთვის ფული დაეცინცლა, რა ლამაზად აწკრიალებდა თუთიყუშურად გაზეპირებულ სომხურ-თათრულ ლექსებს! საქმე ჰანგის მოსმენა იყო, მისი წკრიალა ხმა, რომელიც უსინათლოს ჭიანურზე გაცილებით უტკბესი იყო.

აი, დაირას შემოჰკრა, იცეკვა, შემდეგ მოხდენილად ააყოლა უსინათლოს ჭიანურს:

„მერგელეცი ახჩიკ ტესავ,
სირენჯა-ან, სირენჯან...
ამან-ამან—ჰე-ეი,
ტაში ქამან-ეი—
სირენჯა-ან, სირენჯან...“

სრულიადაც არ დაგიდევდათ, რას მღეროდა, ან რა სისწორით, საქმე სიმღერა იყო, მომხიბვლელი წკრიალა ხმით სიმღერა „ჰაირ-მაირიკისა“ თუ სხვა რამ „ჯა-ან, ჯანუმესი“, განსაკუთრებით ერთ დროს ფრიად გავრცელებული „ტაშკანე“ და „აკოშკაში მტრედია“...

მორჩებოდა სიმღერას და ახლა ისევ დაირის რიგი დადგებოდა. აქ კი კაკოლას უნდა გამოეჩინა ბიჭობა. მართლაც, მეტად სასაცილო რამ იყო უბედური, გულდამწყვეტი სანახავი რომ არა ყოფილიყო. მოსეირეთა ყურადღების მისაპყრობად დაირის ხმაზე მალაყ-მალაყ გადადიოდა, სახეს საზარლად შეიშლიდა, თვალებს გახელებულ ზანგსავით დააბრიალებდა, უშველებელ ენას გადმოაგდებდა ❀ უშნოდ დაფანჯრულ კბილებს ახრჭიალებდა. ხალხიც იცინოდა და იცინოდა. ამით გახელებული კაკოლა ახლა კოჭლ ფეხზე დაპროწიალდებოდა. სადღა იყო მთელი ამპარტავნება, როდესაც ეთაკილებოდა, ზურგზე ნუ მიყურებთ, თორემ კუზი ცეცხლს მიკიდებსო. დღეს კუზს თვითონვე აჩვენებდა, მოკლე კურტკის ქვეშ კიდევ მჩვრები ჩაეგო, რა არის კუზი უფრო საზარლად გამოსჩენოდა. ხანდახან მალაყის დროს განგებ ისე ეხეთქებოდა, თითქოს ბურთი ყოფილიყოს. კაკოლა იმ დროს არავითარ ტკივილს არ ჰგრძნობდა. ოღონდ შინ რო ბრუნდებოდა, ხშირად ჭამის თავიც არა ჰქონია, მიფეთქილი მიგდებულა ჭილობის ნაგლეჯზე და მკვდარსავით მისძინებია. მთელი ღამე მხოლოდ მისი კვნესა-ზმუილი ისმოდა. ჯანზე გამტყდარი მელანო ხშირად, ძალიან ხშირად წამომდგარა, ბნელაში ხელის ფათურით მიუგნია მისთვის, თავი კალთაში ჩაუგორებია და ცრემლებით დაუწყვია დარაჯობა, შვილი არსად გამიფრინდესო.

— საწყალო, უბედურ ვარსკვლავზე დაბადებულო...

ჩურჩულებდა ამ დროს მელანო და ცრემლებს ცის ცვარად ასხურებდა პატარა კაკოს.

თქმა არ უნდა, დიდხანს ვერ გაუძლებდა კაკოლა ასეთ ცხოვრებას. მართლაც, შვიდიოდ თვეში სანთელსავით ჩამოსდნა, ძვალ-ტყავად იქცა, წელს ძლივსღა დასძრავდა. ბოშამ შეჰნიშნა, ახლა ამისთვის აღარ ვარგაო და ხელად ახალ იარაღად გამოიყენა, რომ წუთიც არ დაეკარგნა უსარგებლოდ. და აი, კაკოლას ჩექმების წმენდა დააწყებინა. უყიდა ყოველგვარი ხელსაწყო, თვალსაჩინო ქუჩის კუთხე აურჩია და გამვლელთ დარაჯად მიუჩინა, რათა მათ ფეხსაცმელები მისთვის დაეწმენდინებინათ. ავდარი იყო თუ არა, ეს საკითხი არ აწუხებდა ბოშას. ის მხოლოდ ერთ რამეს ითხოვდა: ფულის შემოტანას, რომ მუქთად არავინ არ მყავდეთო. კაკოლასაც რა თავი გაექნეოდა. ხშირად ტალახშიც კი მოუკეცნია, რომ ახალი „თანამდებობა“ პირნათლად აესრულებინა. მაგრამ ეს იმდენად არ იყო საშიში, როგორც ამხანაგების შური. თუ ვინმე სიბრალულით ისევ კაკოსთან მოვიდოდა, ისინი ბრაზზე გასკდებოდნენ, კლიენტის წასვლისთანავე ეცემოდნენ და კარგადა სტყეპდნენ, რას ჩამოგვეჩხირეო მეცამეტე გოჭისავითო. მაგრამ მალე განთავისუფლდნენ „საშიში კონკურენტისგან“. კაკოლამ ვერ გადიტანა ამდენი უბედურება და პირველსავე შეზამთრებაზე წუთისოფელს გამოესალმა.

XVII

კაკოლას დაკარგვის შემდეგ ცქრიალა ნაღველმა შეიპყრო, ფერი დაჰკარგა.

— კაკა აღარ მოვა?

ეკითხებოდა მტირალ დედას, მაგრამ პასუხს აღარ უცდიდა, სწრაფად გაჰშორდებოდა და კუთხეში მოჰკვდებოდა ობლად სლოკინს.

გატყდა თვით მელანოც. მალე ჭაღარით შემოსა ხშირი გიშრის ნაწნავები. თვე-თვეს მისდევდა, მაგრამ ჯახს გაუმჯობესობა არ ემჩნეოდა. საქმე ის იყო, რომ ავადმყოფობამაც უხშირა: სამი-ოთხი დღე ლოგინში რო ყოფილიყო, ერთხელ ძლივს ადგებოდა. ხველა მძაფრი ჰქონდა და გაბმული. ჰგრძნობდა, აღსასრული შორს აღარ იყო და ეს გარემოება შავ-ბნელ ფიქრების ტალღებზე დააქანებდა.

— კარგი, მე ვკვდები, მაგრამ ის... ცქრიალა... ცქრიალას რაღა ეშველება? ასე გამოუზრდელი... გულუბრყვილო... ისიც ამ ჯოჯოხეთის მაშხალის ხელში,—სთქვა ბოშა დედაკაცზე და უზომო ნაღველმა შეუჭმუხნა ისედაც მჭმუნვარე შუბლი. ბევრი იფიქრა, იქნებ საშველი გზა აღმოვაჩინოო, მაგრამ არ იყო არც ერთი წერტილი, საიდანაც იმედის ოდნავ სხივს შემოეშუქებინოს და დაჰპირებიყოს ცქრიალას მომავლის უზრუნველყოფას.

— მეტი ჯანი არ არის, მრავალთაშორის მოექცევა...

გული აუტირდა. ცელქი ბედი საარაკო ნამორჩე სტყორცნიდა.

— მერე რა დააშავა, რა?

კითხულობდა გულჩათუთქული, მაგრამ მის წინაშე ლაზღანდარა ბედი ოდნავაც ხმას არ იძლეოდა. გაახსენდა ღვთისო, გაახსენდა მისგან ნაამბობი ოქროს თმიან დედოფლის ამბავი და ათრთოლებით აბუტბუტდა:

— ჩვენი ცხოვრება... ჩვენი ცხოვრება...!

ვინაა მაყურებელი ამ ტრაგედიისა, სადაც ასე უხმოდ ათასი და ასიათასნი მელანოსავით ებრძვიან ხორციელსა და სულიერ სიკვდილს?

— ის შეისყიდის... ის... ის შეჩვენებული...

ცრემლები გადმოჰყარა:

— იქნებ მოვნახო რაიმე გზა, რომ ავაცდინო უბედურებას?

იფიქრა, იფიქრა და მწარედ ხელი ჩაიქნია:

— სულ ერთია, ვერას გავხდები...

მაგრამ სწრაფად კილო შეიცვალა და კოპები შეჰკრა.

— როგორ თუ ვერ გავხდები? ისე როგორ დავეცემი, რომ იმ კახპა-უნამუსოს ვიღაცა ოქროს თმიანი დედოფალია ასე უბრძოლველად დავუთმო ჩემი უმანკო ცქრიალა... ვერ მივართმევ, ვერა...

დილა ადრიან ცქრიალა რო ბოშა დედაკაცისკენ გაემართა სამათხოვროდ წასასვლელად, უმალ შეაჩერა.

— წადი, მაგრამ მალე დაბრუნდი... უთხარი, შინ უნდა დავრჩე, დედა ავად არის-თქო. ისევ ხვალ წადი... ხვალ ფერისცვალებაა, უქმე დღე და მეტსაც იშოვნი...

ცქრიალა მოიღრუბლა. დედის ნაწყვეტებზე წინამგრძნობი ალღო აუკვნესდა.

— მეშინიან... მეშინიან... აგრე ნუ ამბობ დედა, ნუ...

— არაფერია, შვილო, არაფერი...

დაჰკოცნა... მთრთოლვარე ტუჩების შეხება სახუმროს არას ამბობდა. ცქრიალა სულ სირბილით შევარდა ბოშასთან და დაბეჯითებით მოითხოვა, ვერ წამოვალო. ბოშამ იყვირა, შეიგინა, კიდეც, მაგრამ როცა სარდაფში ინახულა მელანო, სიხარულის ღიმმა გადაჰკრა, იგრძნო მოახლოვებულია მისი ჟამი და რაც მალე გაფრინდება, იმდენად უფრო ცქრიალა ჩემი მძევალი გახდებაო.

ბუტბუტით გამობრუნდა ბავშვს შინ დარჩენის ნება დართო. მელანოც კმაყოფილი დარჩა, რომ ცქრიალა მთელი დღით მის გვერდით იქნებოდა. ავადმყოფური მზრუნველობით ხელცახოცში გამოკრული. რაღაც გროშები გამოხსნა და ცქრიალას მცირეოდენი ხილი აყიდინა.

— აი, დედა, გენაცვა, ჭამე...

— შენთვის გაყიდინე, შვილო, შენთვის... შენ თვითონ ჭამე...

ცქრიალამ კბილიც არ დააკარა, სანამ მელანომაც არ აიღო. ცქრიალა გაოცებული იყო: დედა არასოდეს ასე მგრძნობიერი და მოსიყვარულე არ ენახა, მისი

ეროვნული ბიბლიოთეკა



მიდის... რაღა ვქნათ?. .



ალა წავიდა... ვიანგარიშოთ, რამდენი გაკეთდა და რამდენის გაკეთება შეიძლება.



შევიდე თუ არა?
შევიდე თუ არა?
თუ თითები მოჰხვდა, შევალ...

## მგზავრის შენიშვნები

(გაგრძელება)

**სოფ. დაგირ-მანქოი.**

თავის საქებურად არ მინდა ვთქვა, ჩემს ცხოვრებაში ბევრი რამ მინახავს. მინახავს უმოწყალოდ განადგურებული, ავადმყოფობით ამოწყვეტილი, სათათრეთის მთლად გაღატაკებული, დაავადებული, მშიერი, ღატაკი სოფლები, მაგრამ ჩემს თვალებს ჯერ არ უნახავს ტანჯვა-ვაება, სიღარიბე, განადგურება, როგორიც არის დღეს ომის გამოისობით არტაანის მიდამოში მყოფი ოსმალ-თათრების სოფლები. ძნელია კალმით აღწერა ყველა იმ უბედურებისა, რომელიც დღეს გამეფებულია ამ სოფლებში. სხვას ნურაფერს ვიტყვით, ადამიანი რომ შიმშილით კვდებოდეს ერთ ნაჭერ პურს ვერ იშოვნის. ერთად ერთ სოფელ დაგირ-მანქოიში სამი ძროხა ვნახეთ, რომელიც ეკუთვნის აქ დაარსებულ ბაქოს მაჰმადიანთა საქველმოქმედო საზოგად. ქსენონს. ვერ წარმომიდგენია, რითი იკვებებიან აქაური მცხოვრებნი. ვნახე აქ ყველაზედ შეძლებული მოლა, რომელიც წყალში არეულ ფქვილს, ისიც უმარილოდ, ცეცხლზედ ახმობდა, ამ ფქვილსაც რის ვაი ვაგლახით თითო ჯამობით შოულობენ ჯერ-კიდევ აუხრებელ სოფლებში. დიდია ტანჯვა დღეს მაჰმადიანებისა, საერთოდ და უმეტესად იმ სოფლებისა, რომლებიც დროებით ოსმალეთის ჯარმა დაიჭირა. პირველ მიახლოვებაზედ თქვენ ვერ იცნობთ, რომ სოფელში შედიხართ—დანგრეული, დამწვარი სახლები მტრისა და ჩვენი ზარბაზნებისაგან, როცა ოსმალთ ერეკებოდნენ. ზოგს ბანი ჩანგრევია, ზოგს კედლები შენგრევია, აი ამ ფარღალალა ქოხებში ცხოვრობენ დღეს თათრები. ამასთან მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ამ ნახევარ თვის შემდეგ სიცივე 38°—40° ადის. შეშის ჩასახი ხომ არ მოიპოვება. ამასთან გავრცელებულია ტიფი, ტრახომა, ხუნაგი და სხ. ათასგვარი ავადმყოფობანი. ერთი სიტყვით ადამიანი ან გულქვა უნდა იყოს, ან ნერვები რკინისა ჰქონდეს, რომ ამ შემზარავ სურათს გულცივად უყუროს. ასე გასინჯეთ, იმდენად დაცემულია სულიერად აქაური ხალხი, რომ მომავალ ზამთრის საზრდოზე აღარა ზრუნავს. ანკი ვინ იზრუნოს, როდესაც სამი წილი მამაკაცებისა, რომელნიც უფრო ახალგაზრდები ყოფილან, ციხეში სხედან ვითომ-და ღალატისთვის.

თქვენ წარმოიდგინეთ ყველას არა მაჰმადიანს შეუძლიან შევიდეს რომელ სოფელშიაც სურს, მათრახით ტყავი გააძროს მცხოვრებთ და მისი ხმის გამცემი არავინ არის... აი, რამდენად აბუჩად აგდებულნი არიან დღეს თათრები იქ, სადაც ომს დაახლოვებულნი არიან. ერთი სიტყვით ჯოჯოხეთზე უარესი მდგომარეობაა დღეს აქეთ გამეფებული.

**პროვოკაცია.**

როდესაც რუსებმა ოსმალები განდევნეს არტაანის საზღვრებიდგან, მაშინ პროვოკაციამ იჩინა თავი.

მთავრობასთან აბეზღებდენ მთელ ოსმალების სოფლებს ვითომ მათ რაიმე კავშირი ჰქონოდათ ოსმალებთან. ამიტომ მთავრობაც ატყევებდა ყველას, ვისზედაც მიუთითებდნენ. ერთ სოფელში მივიდა (სახელი დამავიწყდა) ერთი და უთხრა: „დღეს აქ გუბერნატორი უნდა გეწვიოთო“. ოსმალებმაც ერთ მოლას სახლში მოიყარეს თავი, მოემზადნენ პურ-მარილით დასახვედრად, ყველანი პატივსაცემი მოხუცი ხალხი იყო. მაგრამ იგივე მივიდა და მთავრობას გამოუცხადა: ამა და ამ სოფელში მოლას სახლში შეკრებილები არიან თათრები, ოსმალეთის სარდალს ელიანო. მთავრობამ უკითხავად გაგზავნა კაზაკები, რომელნიც შეცვივდნენ და გამოუძიებლად ყველანი ამოხოცეს. აი ასეთ გმირულ საქმეებს ეწევიან

**თათრების საქველმოქმედო საზოგადოება.**

თათრების საქველმოქმედო ბაქოს საზოგადოება დიდი ენერგიით მუშაობს და თითქმის დაასრულა თავისი გამოძიება. ჰყავთ თავიანთი ვექილები, ექიმები, ფერშლები; გახსნეს თათრების სოფლებში მასაზრდოებელი პუნქტები, ქსენონები; ურიგებენ ხალხს პურს, შაქარს, ჩაის, ტანისამოსს და ყიდულობენ მათთვის საქონელს, ერთი სიტყვით, თათრობამ ეხლა ცოტა ამოისუნთქა თავისუფლად. როგორც გავიგეთ ეხლა ეს კომისია იკვლევს დარბეულთა მდგომარეობას და აპირებს აჭარისკენ წასვლას, რათა იქაც გამოიკვლიოს აჭარელთა დღევანდელი მდგომარეობა და მათი დარბევის ნამდვილი მიზეზები.

ვ. ხ—შვილი.

---

კოცნაც ასე მწველი და საამური არასოდესაც არ უგრძვნია.

— იცი, ცქრიალა, ვერის ხიდი?

— ჰო დედა, ბევრჯელ გაგვივლია მე და კაკოლას და არტაშას...

სთქვა მეჭიანურე ბრმაზე.

— მერე რა იყო?

— არაფერი, ისე გამახსენდა... აი, ჩვენ რო პირველად ჩამოველით, მაშინ იყო... მაშინ მოხდა...

— რა მოხდა, დედა?

მელანომ თითქმის თავის და უნებურად უამბო, თუ მაშინ როგორ მთელი ქალაქი ლაპარაკობდა მასწავლებელ ქალზე, თამარზე, რომლის გვარი ვერას გზით ვერ მოეგონებინა. გაახსენდა, თუ მთელი ქალაქი ამ ქალს როგორ ნიჭიერად იცნობდა, ერთ ულამაზეს ქალად, ისიც არ დაავიწყდა, თუ ეს თამარი როგორ შეეყვარებინა ქართველ მწერალს, შემდეგ რომანი... ღალატი და...

— ველარ გადიტანა უბედურმა, სწორედ იქიდან გადავარდნილიყო მტკვარში... მთელი ქალაქი ფეხზე დადგა... უბედური, მესამე დღეს ძლივს იპოვეს...

— მერე, დედა...

თვალებ დაჭყეტილი შეჰყურებდა ცქრიალა.

— მერე?.. არაფერი...

გაიცინა და გადაჰკოცნა. თითქოს თვითონვე შეჰნიშნა, რომ ბავშთან სისულელესა ვბოდავო.

— დიდი ამბით კი დამარხეს...

— დამარხეს?

ცქრიალა მოიღრუბლა, თითქოს უფრო სხვა რამის მოლოდინში იყოო. ამოიხრა. მელანო კი ამ დროს სულ სხვა ფიქრებში იყო გართობილი:

— „ჰო და მეც წავალ... თუ ის ვილაცა ნასწავლი ქალი სიყვარულისთვის თავს იკლავდა, მე რაღა მაქვს დასანანებელი, როდესაც ყოველისფერი დავკარგე, სიყვარულიც და სასოებაც, როდესაც ცხოვრების უმნიშვნელო და ზედმეტი ბარგი გავხდი, როდესაც მისაყვედურებენ, თუ ცხოვრება გინდოდა, შვილებს რად აჩენდიო.

— ალბად ასე უჯობდა...

ხმა მაღლა დაასკვნა და კვლავ დუმილს მიეცა.

ცქრიალას ჭამის ხალისი დაეკარგა. დედას თვალებში ჩასცქეროდა, მაგრამ მის გულუბრყვილო ალღოს ჯერ ვერ ამოეცნო, თუ რას იზრახდა მშობლის გული.

— არა, არა, სიკვდილი სჯობია ასეთს სიცოცხლეს... უპატრონოდ თუ დარჩა, ვინ იცის, კახპობა დააწყებინონო. მაშინ ხომ საფლავში მატლები დამეხვევა და სულიან - ხორციანად წამწყმიდა — ჰფიქრობდა მელანო. მის წინაალმდეგ თითქოს ყოველისფერი შეითქვა: სადი - გონება, ცხოვრების სასტიკი ლოლიკა სულ ერთსა და იმავეს ჩასძახოდა იდუმალის ხმით, რომ ადამიანი სწორედ იმას უნდა გაექცეს, რაც მისთვის საყვარელია, რასაც ეთაყვანება, ეწუკვება, რაც იდეალად დაუსახავს. თუ გვსურს სიყვარული, თუ გვსურს იგი სრულ ყოფად გარდავქმნათ, უნდა მსხვერპლიც არ დავიშუროთ. ღვთისომ სოფელი დასთმო, ქალაქს ეწვია, შემდეგ ოჯახი უარჰყო და სიკვდილსაც თამამად შეეგება. აი, ეს ქალიც, თამარი, თავი იმიტომ დაიხრჩო, რომ ის უყვარდა, ის, თვისი ღმერთი, თვისი გულის კერპი...

რა სანუკვარია, მართლაც, კერპი! რა წარმტაცია! როგორი ჯადოსნური ღიმილით გვეძახის, რა ბრმა ალთქმებით შეგვასხავს ფრთებს ვითომც მასთან მისაფრენად! მაგრამ ჰლირს კამარა შევქრათ, რომ იკაროსის ბედი გვეწვიოს და იმ კვარცხლბეკზე დავიმსხვრეთ, სადაც მომღიმარი ჩვენი კერპი გვეპატიჟებოდა.

მთელი დღე ტანჯვაში გაატარა. შეღამებისას ცქრიალას არა უჭამია რა, ისე მიეგდო და მიიძინა. მელანო თვითონ მიუჯდა და მუნჯად დაჰყურებდა მის სახეს. ფიქრთა ნავად დატვირთული იყო. აი, გატყდა შუაღამე, მაგრამ მას რულიც კი არ მიჰკარებია. თავი უბრუოდა. საშინელმა სიცარიელემ დაისადგურა. თავი უცანცარებდა. აი, წამოდგა. ავტომატურად ამოქმედდა. რად და რისთვის აანთო სანთელი, არ იცოდა, როგორც არ იცოდა, თუ რისთვის წამოავლო დანას ხელი, იგი ვიღაცის ხელში ამოძრავებულ მანქანას ჰგავდა. როდესაც ცქრიალასკენ გადასდგა ნაბიჯი, თითქოს ცნობიერება გაელვიძა, მაგრამ არა იმიტომ, რომ წყევლა-კრულვა მოელო თავზე ასეთ ბოროტ-განზრახვისათვის, არამედ იმიტომ უფრო, რომ ბავშვისთვის უკანასკნელი სალამი ეძლვნა.

— აი, შენ გაფრინდები, ანგელოზო, მამასაც ნახავ და კაკოლასაც. მეც მალე მოვალ... მეც...

თავზე ხელი გადუსვა. გაათრთოლა. ცქრიალას თმამ მასში ძალად ჩაკლული დედის გრძნობა წამოაქოთა. რაც დრო მიდიოდა, იმდენად უფრო რთულდებოდა განზრახვის შესრულება. ბავშვს საბანი გადასწია, პერანგი გაუხსნა. ცივი ხელის მოხვედრაზე ცქრიალამ გვერდი იბრუნა. მელანო ყურთასმენად გარდაიქცა, შეეშინდა, ხომ არ ილვიძებსო, მაგრამ ბავშვი უმანკო ძილს განაგრძობდა და სიზმარში გაყოლებული რატომღაც იღიმებოდა. კიდევ უყურა, უყურა. აი, დარწმუნდა მომენტის შერჩევაში. პერანგის ღილი გახსნა, მაგრამ საკმარისი იყო ცქრიალას ბატკნის გულის გამოჩენა, რომ მელანო შეკრთა და დანა ხელიდან გაუვარდა: ბავშვს ნათლობის ჯვარი ყელზე შავი ყაითნით ეკიდა და ზედ გულზე მიჰსვენებოდა. მელანო დაემხო. ათრთოლებული აქვითინდა. ეს იყო სრული შენების წამი, მთელი გოლგოთა, ტანჯულ გულის ეკლის გვირგვინი ..

— ოჰ, ქრისტე... ქრისტე... ნუ გამსჯიო, ნუ..,—დაიწყო ქვითინით თავის მართლება—შენ ხომ ღმერთი კაცი იყავ... ჩვენთან დაიბადე. . ჩვენთან იცხოვრე... შენ უფრო მალე მიხვდები, თუ რად ჩავდივარ... რად... შენ იცი, ჯოჯოხეთის ამბები. . იცი და აჰა... მეც ვიტანჯვი იმისი ცეცხლით... ქრისტე... ოჰ, ქრისტე... ვის დაუტოვო ცქრიალა... ვის..? მის თავს ითხოვენ... ცხოვრება ითხოვს მის სისხლს... მეც არ მსურს, ქრისტე, დავანებო იმისი თავი... არა... მე დედა ვარ და ვიცი, რასაც ჩავდივარ...

მტრედის ფრად ინათა. მელანომ ლოცვაში გაატარა ღამე, მაგრამ ტანჯვა არ შეჰსუმბუქებია. მის წინ კვლავ კერპი აღმართულიყო, საზარელი სიყვარულის კერპი, რომელიც სუვერენი ბრძანებით მსხვერპლს სთხოვდა.

— ადექი, ცქრიალა, ადექი...

ძალად გამოაღვიძა, რო ბავშვის გამოხმაურებამ იქნებ რაიმე მიშველოსო. ცქრიალა წამოხტა. დედის თხოვნით ილოცა.

— დღეს ფერისცვალებაა და უნდა ფერი გაცვლევინო.

კიდევ აკოცა. ბავშვსაც გაეხარდა. ეგონა, დედა მხიარულს გუნებაზე არისო.

— შალი მოისხი, შალი...

— რათა, დედა, არა ცივა...

— ჰო, არა ცივა... წავიდეთ... სიონში წირვა მოვისმინოთ... სანთელი დაუნთოთ წმიდა ნინოს...

ცქრიალა ტუსტუსით აედევნა. ავლაბრის ხიდთან შეჩერდა.

— რა არის, დედა?

— არაფერი...

მელანო რაღასაც მიაშტერდა...

— ის... ის...

— ვინა, დედა. .

— ნუ თუ ვერა ჰხედავ?

ბავშვს არა შეუნიშნია რა. გაოცებული გაჰყურებდა მტკვარს, სადაც ზვირთების მეტი არა მოსჩანდა რა.

— შენც გაიგონე? დაინახე?

მელანოს მართლა ისე მოეჩვენა, თითქოს ზვირთებიდან ღვთისო უძახისო. ცქრიალა კანკალით მოეხვია.

— მეძინიან... მეშინიან... წავიდეთ, დედა...

— აი, ეხლავე ყოველისფერი გათავდება...

სწრაფად დაჰკოცნა. წინა დღის გარდაწყვეტილებამ იფეთქა, მაგრამ ხელი წაავლო თუ არა, სახე შეეშალა.

— არა, არა... არ შემიძლიან... შენ არა... შენ არა... ისევ მე...

გამვლელებმა ყურადღება მიაქციეს მის ანორმალურ საქციელს, მაგრამ გვიანლა იყო: მელანომ საშინელი კივილით იშვირა ხელი და ხიდიდან ზვირთებში გადაევლო.

— დედა, დედა...

დაიწივლა ცქრიალამ.

ხალხი შემოეხვია. ერთმანეთში განკარგულებას ახდენდნენ ქალის გამოსატანად. ყველა დაფაცურდა. ზოგი მტირალ ბავშვს აჩუმებდა.

— შენ აქ რა გინდა?

ცქრიალამ რო აიხედა, ბოშა დედაკაცი შეჰნიშნა. შემთხვევით აქეთ გამოევლო. ბავშვს ასე ეგონა, მხსნელი დავინახეო.

— ბებია... ბებილო... დედას უშველე... დედას...

ბოშა დედაკაცი მიჰხვდა ყოველისფერს და სიხარულით ჩაიღიმა.

— კარგი, კარგი... ზავიდეთ... შინ ზავიდეთ... დედა იქ მოვა...

ხელში წაავლო. თითქმის აიფხოწიალა. ცქრიალა კი ღრიალს განაგრძობდა:

— დედა-ა... დე-და...ა..!

დ. კასრაძე.

მაისი, 1913 წ.

რის ქართველ ბერებს თვისის ქონებით. 1885 წ. ქუთაისის თავად-აზნაურობამ აირჩია დეპუტაცია: ი. დ. მეგრელიის მთავარი, ჩუბინაშვილი, პროფესორი ცაგარელი, ს. კ. აბაშიძე და თ. ი. ა. ნაკაშიძე და მიანდო ეშუამდგომლა ხელმწიფესთან წართმეული მონასტრის დაბრუნება ქართველ ბერების განკარგულებაში. მეოცე საუკუნის დასაწყისში ჩვენმა ჩამორჩენილმა სამღვდელოებამ კვლავ აიმაღლა ხმა ამ ბოროტების წინაალმდეგ და მიანდო ვექილს ამ საქმისათვის ყურადღება მიექცია და ბოლომდე არ მიეცა ნება აღვირ წახსნილ და გაუმაძღარ ბერძნის ბერებისათვის გულ უბრყვილო ქართველის დასაჩაგრავად. ბერძენთა ხუცების კრებამ მოინდომა რამე დამაკმაყოფილებელი პასუხი მიეცა ქართველებისათვის, მაგრამ მან 8 ნოემბერს 1903 წ. დიდი ხნის ლოდინის შემდეგ, უარი განაცხადა მათს კანონიერს მოთხოვნილებაზე. აი სადამდის მიდის ჩვენი ბედშაობა! ჩვენისთანა საპეკუნო ხალხს ოდესმე ეღირსება რამე? (Иверскій монастырь на Афонѣ. Натроева, 1910 წ.)

ბერძნები თუ უცხოეთში ჩვენს ეკლესიას სტაცებენ ქონებას და მის პატრონს ხელს აღებინებენ საკუთრებაზე, ახლა ყური დაუგდეთ რა მომჭირნეა აქ, ჩვენში, ჩვენს მიწა-წყალზე? ოფიციალი წყარო: „Вѣдомость имѣніямъ, принадлежащимъ святымъ мѣстамъ и монастырямъ на Востокѣ, находящимся въ закавказскомъ краѣ и принятымъ въ казенное Управленіе 1894 г." ქართველთაგან შეწირულებას წმიდა ადგილებში ბერძნები და საზოგადოთ უცხოელები ისეთ ნაირად ებლაუჭებოდნენ, რომ არამც თუ იკლებდენ რამეს ამ შენაწირიდან, პირ-იქით, დაწესებულზე ზედ-მეტს ღებულობდენ და მიჰქონდათ შინისაკენ, საზოგადო დუმას და ქადას ისე მადიანად შეექცეოდენ, რომ მათს ხელის შეშლას ვერა ბედავდნენ. როგორც სჩანს მეფის მოადგილის საქმეთა მთავარ გამგეობიდან და სახელმწიფო ქონებათა ექსპედიციის მიწერ-მოწერიდან, 1819 და 1851 წლებში, საქართველოში ყოფილა უძრავი ქონება გლეხებიანად, ბოძებული მეფეთაგან ერუსალიმის ქრისტეს საფლავის და ივერიის ათონის მონასტრების სასარგებლოდ. ეს მონასტრები არიან ერუსალიმის და კონსტანტინოპოლის პატრიარქების ხელში. აღმოსავლეთის მონასტრებს ათონის მონასტრიანად ეკუთვნოდა საქართველოში 1836 კომლი გლეხი, 4930 დესეტინა 445 ოთხ კუთხედი სახნავი მიწა, 486 დ. 177 ოთხ-კუთხი საჟ. სავენახე, 1611 დეს. 2208 ოთხ-კუთხი საჟ. ტყე, 1098 დ. 750 ოთხ-კუთხი საჟ. სამოსახლო, 380 დ. 1127 ოთხ.-კუთხი საჟ. სათიბი; ამათგან შემოდიოდა წლიურად დაახლოვებით 7168 მან. მიწის ნაყოფი და 10833 მ. 28 კ. ფულად,— და სრულად 18001 მ. 28 კ. გლეხების და მათი მამულების გამგენი იყვნენ პატრიარქებისაგან დანიშნულნი არქიმანდრიტები. გადასახადი სხვა და სხვა ნაირი იყო. იქ სადაც კარგი მოსავლიანი ადგილები იყო გლეხები იხდიდენ პურსა და ღვინოს, სადაც მეფუტკრეობას მისდევდნენ, სანთელ და სხვ. გარდა ამ ღალებისა ზოგიერთს ადგილებში გლეხები ვალდებულნი იყვნენ ემუშავნათ მონასტრის მამულებში, ეხვნა-ეთესათ, ეზიდნათ შეშა, პური სამონასტრო ადგილებიდან, ემსახურნათ ხელზე და სხ. გარდა ამისა ზოგიერთი გლეხები მონასტრის სასარგებლოდ ყოველ წლიურად იძლეოდნენ თვითეულ ოჯახზე 6½ კაპეიკიდან 6 მანეთამდე. გლეხი ამასთანავე ვალდებული იყო, რასაკვირველია, სახელმწიფო და საფოსტო გადასახადი ეტვირთნა. ასე რომ ერთსა და იმავე დროს ათასი ბატონ-პატრონი აჯდა კისერზე ჩვენებურ გლეხს. თუ დავუმატებთ იმაზე სისასტიკეს არქიმანდრიტებისას, შემოსავლის გადახდევინების დროს, პირდაპირ ჩარჩ-ვაჭრულ მათს მოქმედებას, უპატრონოდ ფლანგვას მონასტრების ქონებისას, მაშინ ნათლად წარმოგვიდგება უმწეო მდგომარეობა მკვიდრისა. ზოგიერთი გამგე ბერები ისეთს ზნე-დაცემულობას იჩენდნენ ჩვენში, რომ არავითარ ზომას არ ერიდებოდნენ თუ როგორმე თავიანთ ქვებუდანობას, ქვემძრომობას და აღვირ-წახსნილობას გაიტანდნენ. ეს „სულიერი წმინდა მამები" განწესებულს რომ არ სჯერდებოდნენ ერთი ათად აქცევდნენ შემოსავალს სიგელ-გუჯრებში მოხსენებულთ და ისე ახდევინებდნენ ხალხს. ხალხიც წლებზე იდგამდა ფეხს და უხმოდ ემონებოდა უცხოელ მტანჯველ-გათახსირებულ ბერებს. 1872 წელში გადასახადების მოკრება სამინისტრო მამულებიდან შეიცვალა. ყოველივე გადასახადს აწარმოებდა მთავრობა, ხაზინაში შესული ბიუჯეტი მიდიოდა პირ და პირ უცხოეთში. ცენტრალმა სახელმწიფო ქონებათა მმართველობამ ხაზინაში გადარიცხა სამინისტრო ქონება და ამისათვის ორი მოხელე დანიშნა, ერთი თბილისის გუბერნიაში და მეორე ქუთაისისაში. ამ დროს ორივე გუბერნიებიდამ შემოსავალი იქნებოდა დაახლოვებით 18,000 მ. 1881 წელში ესეთი წესი ბაჟების მოკრებისა შეიცვალა ისევ ძველის წესით: გაჩნდნენ მჯვლეფავი ბერები ხალხში და იწყეს ჩვეულებრივ ნავარდობა ხალხის ზურგზე. ხანდისხან ეს წურბელები წაეპოტინებოდნენ სხვის საკუთრებას და იგდებდნენ ხელში. მაგ. ვარძიის ეკლესიას, შორაპნის მაზრაში ბერებმა საკუთარი მისი მამულები, რომლებსაც ჩვენში „ხატის მამულს" ეძახდნენ და 1874 წლის უმაღლესად დამტკიცებულს სანადელო სიაში მოქცეულ იყვნენ, მიითვისეს და ჩაიგდეს ხელში. ეს მამულები გაყიდეს და ფული თითონ იჯიბეს.

თვითონ ისტორიული შესანიშნავი ვარძიის ეკლესია, ქართველებისაგან აგებული, უნდოდათ მოეგდოთ თავიანთ კლანჭებში, რისთვისაც საჩივარი გააჩაღეს, მაგრამ ეს მხეცური ალღო ვერ დაიკმაყოფილეს. ამავე ეკლესიაში შესანიშნავი ხატი „დედა ხვთისა" ვარძიისა, შემკული ძვირფასად, გაძარცვეს და მერმე თავიანთ გემოზე „შეამკეს". ბ. თ. ჟორდანიამ რომ ასეთი „შემკული" ხატი ნახა, თავში იკრა ხელი: მაგათი არც „შეკეთება" გვინდოდა და არც ხელის ხლებაო.

დიახ, ივერიის ეკლესია იჯიჯგნებოდა შიგნით და გარედ, შინაურისაგან და გარეშესაგან. ყველას უნდოდა ხელი წაეტანებია მის სიმდიდრისათვის. ყველა სარგებლობის თვალით უყურებდა. იმერეთში, რამდენადაც ცნობილია, სამონასტრო გლეხებმა დაიხსნეს თავი ამ ბერებისაგან, გადაიხადეს ბევრი სახსარი, გაასუქეს „წმინდა" ბერები და მასთან მათი ხელ ქვეითი დამქაშები, თვითონ სოფლელები, რომლებიც ერთმანეთს ეცილებოდნენ არა მე ვიქნები ბერის ვექილი, არა მეო და ხშირად ამ მეტოქეობაში ერთმანეთს თავ-პირს უმტვრევდნენ კეტებით და ხანჯლებით. არის კიდევ ღარიბ-ღატაკნი სამონასტრო გლეხები, რომლებიც დღესაც შებმულან უღელში და საცოდავად იზნიქებიან წელში.

ამ ნაირად, როგორც ჰხედავთ ჩვენს ერს სიმწრით შეძენილი ქონება ხელიდან ეცლება, მამა-პაპური მონასტერი აუარცხელი სიმდიდრით სხვისი ვისაც მასზე ხელი არ გაუნძრევია, კერძო ხდება, აქ კი, საქართველოში სხვათა შორის, იერუსალიმის და კონსტანტინეპოლის მონასტრებზე შეწირული მეფეთაგან ადგილ-მამული ხელუხლებელი რჩება, და უცხოეთის მონასტრები არამც თუ დღემდი სარგებლობდნენ ამ შეწირულებით, თან და თან ზედმეტს ღებულობენ. მკვიდრთ, ისედაც გაძვალტყავებულთ, ავიწროებენ, ხელიდან აცლიან ნაჭირნახულევს ცხოვრებას. რაც დარჩათ გაუტყავებელი, იმასაც აღარ ზოგავენ. მაგალითად სოფელ ვარძაში რამდენიმე ასი დესიატინა სამონასტრო ტყე, რომლიდანაც ხე-ტყე გამოქონდათ სოფლელებს ბაჟით, დღეს ბერებს ნდომებიათ მიჰყიდონ არა მათ, რომელთაც იურიდიულადაც და ზნეობრივადაც უნდა შეეძინათ, არამედ უცხოელებს, ვილაც უცხო მდიდარს უთმობენ იაფად.

საჭიროა და დროზე უნდა ეშველოს საქმეს, რომ როგორმე გამობრუნდეს საწალმრთოდ იგი, უნდა აღიძრას შუამდგომლობა სადაც ჯერ არს. ივერიის ათონის მონასტერი, ძალით წანართმევი ბერძნებისაგან, ჩამოერთვას მათ და მისი პატრონი ვინც იყო აქნამდე, ე. ი. ისევ ქართველები შეიქნენ. ხოლო საქართველოში შენაწირი მიწა-წყალი, თუ ხელაღებ გაიყიდება, ვინ შესწირა და ვინც ზედვე მოსახლკარობს მასვე დარჩეს და არა უცხოელებს, თორემ უბსკრულისაკენ მინაქანებს ქართველს ველარაფერი შეიკავებს და ჩვენი ქვეყანა უცხო ერის საჯიჯგნელი შეიქნება. საქმეს ხელ გულდაკრეფილი კი არ უნდა შევსცქეროდეთ, და უცდიდეთ იქნება სხვამ რამეში წყალობის თვალით შემოგვხედოს, ან შემთხვევით დავახწიოთ თავი სიდუხჭირეს! ამისათვის აუცილებლად შეერთებულის ძალით თავად-აზნაურობა, სამღვდელოება, კულტურულ-განმანათლებელი საზოგადოებანი ვალდებულნი არიან განაჩენი გამოიტანონ ათონის მონასტრის ხელ-უხლებლობაზე და აქაურ შენაწირ ქონების ჩვენშივე დარჩენაზე.

ქ. გძელი.

დ. ზესტაფ. 1915 წ.
21 აგვ.

---

## „წარსული კვალი და მომავალი ბედის-წერა"

(დასასრული. იხ. „საქ." № 86)

შარლ ფურიე ადამიანთა ცივილიზაციის წინსწარ ისტორიას ოთხ ხანად ჰყოფდა: პირველია ედემიზმი, მეორე—ველურობა, მესამე—პატრიარქატი და მეოთხე—ბარბაროსობა. ამ ოთხ ხანის შემდეგ ცივილიზაცია იწყებაო: „დღეს ჩვენ, ეპოქის თვისებების მიხედვით, ცივილიზაციის ხანაში ვცხოვრობთ. თუმც დღესაც ვხედავთ სხვა და სხვა ელემენტებს ველურობის, პატრიარხატის, ბარბაროსობის, და სხ... მაგრამ ცივილიზაციის ძირითადი ელემენტები მაინც კარგად სჩანანო". ეს სიტყვები დიდი უტოპისტ-სოციალისტისა გონება-მახვილად ახასიათებს დღევანდელ დღეს.

ჩვენს ეპოქას კულტურა-ცივილიზაციის ჩქარი და ძლევა-მოსილი მსვლელობა ახასიათებს, მაგრამ მაინც მის გვერდით ველურობა-ბარბაროსობის კვალსაც ვხედავთ. აბა შეხედეთ რა სიმაღლემდე ავიდა ტეხნიკა, როგორ დაიმორჩილა ადამიანმა ზღვა, ჰაერი; მოსტეხა სივრცე და დედამიწას გულ-მკერდი გადაუხსნა.

ადამიანის აზრი თითქმის „ცის საიდუმლოების" ახსნა-გაგებასაც კი ლამობს, თითქმის **მხოლოდ გონებად** მოუსურვებია გადაქცევა, და მაინც ყველა ამის გვერდით—დღევანდელი დღე. ჰუმანიურ მოძღვრებათა მძლავრი მსვლელობა და კაცი-ჭამიაობა, სოციალისტური თეორიები და ესსენის ქარხნები, სოციალური ჰიგიენა და კრუპპის მძლეტავი ჯადო-მორტირები, ამაყი ინდივიდუალიზმი და პიროვნების უბრალო ჩვრად ქცევა.

1623 წ. ემერიკო კრუჩემ გამოაქვეყნა თავისი პატარა პამფლეტი „ახალი კინეია". ამ პამფლეტში იგი ეხებოდა საკითხს ომის მოსპობის და თავისუფალ ვაჭრობის შესახებ, და ურჩევდა აერჩია ქალაქი საელჩო მოსაწყობად. აქ ყველა სახელმწიფოს ეყოლებოდა თავისი წარმომადგენელი, და ყველა საკითხები, ყველა შესაძლო უთანხმოება მათ კრების მიერ გაირჩეოდა, მშვიდობიანი გზით მოწესრიგდებოდა. უფრო სწორი და უფრო სალი აზრი ჟ. ჟ. რუსსომ გამოსთქვა. მან სხვა გვარად შეხედა საკითხს და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მშვიდობიანობის იდეა იხეირებს და განხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საერთაშორისო შეთანხმებაში მონაწილეობას მიიღებენ არა მმართველ-მპყრობელნი, არამედ ხალხი. ამგვარივე აზრი გამოსთქვა კანტმა, მხოლოდ უფრო საბუთიანად. სახელმწიფონი ანგარიშს უწევდნენ ამ იდეებს. დაიბადა საერთაშორისო უფლება, შეიქმნა საერთაშორისო ორგანიზაციები, მოაწყეს კონგრესები. 1900—1910 წ. საერთაშორისო კონგრესთა რიცხვი 49 უდრის, ხოლო სატეხნიკო, სამეცნიერო და მორალური ხასიათისა 790-ს. „და არც გასაკვირველია, თუ იმისთანა ფრთხილი დამფასებელი საერთაშორისო უფლების განვითარებისა, როგორც იმპერატორი ვილჰელმი მეორეა, იძულებული იყო გამოტეხილიყო 1904 წელს, თავის სიტყვის დროს კაუკსგაგენში, რომ „სოლიდარობა კულტუროსან ხალხთა შორის, ცხოვრების სხვადასხვა დარგში თანდათან ვითარდება და მტკიცდება. და ეს სოლიდარობა შეუმჩნეველია, მაგრამ შეუჩერებელიო". (პ. მილიუკოვი. „შეიარაღებული ქვეყანა და შეზღუდვა შეიარაღებისა). მიუხედავად იმისა, რომ ომის ძლევა-მოსილობა დღეს უმაღლეს ხარისხამდე არის მიღწეული, რომ თოფ-ზარბაზანთა გრიალი გაბმულ ქუხილად მოსდებია ქვეყანას და დედამიწა დრტვინავს, ხალხის სიღრმეში მაინც სწარმოებს იდუმალი მუშაობა საყოველთაო მშვიდობიანობის დასამკვიდრებლად. ხალხმა ომს ღვთაებრივი სახე ჩამოაცალა და პაციფისტთა ბანაკმა იწყო ზრდა.

ნელ-ნელა მზადდება ახალი ფორმა საერთაშორისო განწყობილების შესაქმნელად, უსისხლო ბრძოლის დასამყარებლად. აგიტაცია საერთაშორისო მშვიდობიანობის შესახებ მოედო მთელ კულტუროსან კაცობრიობას. როგორც დიდმნიშვნელოვან საბუთს, გაგახსენებთ ერთ ინგლისურ „მემორიალს", 1894 წლისას, რომელზედაც 35,000 კაცს უწერია ხელი, და მათ შორის დიდ სოციოლოგ სპენსერს, სხვა ცნობილ მოაზრეებთან ერთად. ეს „მემორიალი" წარედგინა პარლამენტს და შეიცავდა შემდეგს: „გამუდმებითი და დაუბრკოლებელმა ზრდამ ევროპის შეიარაღებისამ დღეს იმ კიდეს მიაღწია, რომელიც გვაიძულებს გამოვსძებნოთ რაიმე საშუალება მისგან თავის დასახსნელად. მთელი სიმძიმე სამხედრო და საზღვაო ხარჯისა, სახელმწიფოს უქადის გაკოტრებას, წარმოებას სტეხავს და ასუსტებს, ხალხს კი აღარიბებს. რასაც ომსა და ხოცვა-ჟლეტას ანდომებს, ის შეიძლებოდა სოციალურ ცხოვრების გაუმჯობესებას და რეფორმებს მოხმარებოდა. ეს დამღუპველი ქიშპობა შეიარაღებაში, რაიმე საერთაშორისო შეთანხმების უქონლობის სამწუხარო და აუცილებელი შედეგია. მხოლოდ საერთაშორისო ხელშეკრულობა შესძლებს მის შეჩერებას. ამიტომ ჩვენ მოწიწებით და სერიოზულად ვიძლევით წინადადებას, რომ იქმნეს დაჭერილი კავშირი ევროპის სახელმწიფოებთან იმ მიზნით, რომ დავრწმუნდეთ, შესაძლებელია თუ არა შემდეგი შეიარაღების შესაჩერებლად და სიმძიმის შესამსუბუქებლად საერთო შეთანხმება, რომლითაც არც ერთი სახელმწიფო, ამ საუკუნის დამლევამდე არ გაადიდებს და არ გააძლიერებს სამხედრო და საზღვაო ხარჯებს, ვიდრე ეს დღევანდელი რიცხვით გამოიხატება. ეს დღევანდელი რიცხვი დარჩეს მაქსიმუმადო". და ხომ სცადეს კიდეც ხმის ამაღლება. მაინც ხალხიდან წავიდა ეს ხმა, და სოციალისტ სამბას პირით მოუწოდა საფრანგეთის დეპუტატთა პალატას მიეღო დადგენილება, რომლითაც წინადადება ეძლეოდათ ინგლის-საფრანგეთ-გერმანიის მთავრობას შეიარაღების ერთ-დროულ შეზღუდვის შესახებ. თუმც პარიზში აღძრულმა კამათმა ვერ მისცა გამარჯვება სოციალისტთა რადიკალ წინადადებას, მაგრამ მაინც დიდი როლი ითამაშა და მთელს ევროპას მოსდო. იგი მსწრაფლ ლონდონში აღიმართა და მუშათა ბელადის, მაკდინალდის პირით ითქვა თემთა პალატაში.

ან რატომ არ უნდა გაიმარჯვოს? ომი ვერ გამართლდება, რა გზითაც გინდა მიუდგე. მხოლოდ პრინციპი სხვათა-ჭამიაობისა—აი მისი გამმართლებელი.

„ადამიანი მიზანია და არა საშუალებაო"—სთქვა კანტმა, კაცთა სიყვარული გვასწავლა ქრისტემ, „არა კაც ჰკლაო" დაგვიწერა ძველად ბიბლიურმა ღლოვამ, ხოლო ყველა ეს კი მხატვრულად ნოკალისმა გამოთქვა:—„გახსოვდეს, როდესაც ეხები ადამიანის ხელებს, შენ ეხები სვეტებს იმ ტაძრისას, რომელშიაც სუფევს ღვთაებაო". ომის ზნეობრივად გამართლება შეუძლებელია. პან-გერმანიზმი, მისი ანტიტეზა პან-სლავიზმი, და საზოგადოდ „პან"-ობა, აი მთავარი მიზეზი დღევანდელი ომისა. ეგრედ წოდებული **ერთა განთავისუფლება** მხოლოდ ამ „პან"-ობის სუროგატია. ეს „პან"-ობა კი ვერ მოიძებნის გასამართლებელ საბუთს. ერთა გაფურჩქვნა სხვას იარას ვერ გაუყუჩებს, ვერ დააკმაყოფილებს. გერმანელთა ან სლავიანთა გაძლიერება-განვითარება სასურველია, მხოლოდ ისევე, როგორც სხვების. არა ერთი ტიპის სიძლიერე, არამედ გარეალება და განვითარება საზოგადო—აი რა არის საჭირო. ტიპთა მრავალ სახეობაა სასურველი და სასარგებლოც. ამისთვის კი ერთა თანასწორობის პრინციპის აღიარებაა საჭირო და არა „პან"-ობა.

ხალხი ომს არ საჭიროებს და ვერც მის ინიციატორად გამოვა. ხალხი ომს მხოლოდ უკიდურესობამდე მიჰყავს, აბეჩავებს, ამახინჯებს, და რაც უმთავრესია, სიცოცხლეს უსპობს. მართლა რომ ხალხი იყვეს გამგე თავის ცხოვრებისა, პაციფისტების აზრი მალე ძლევა-მოსილად დაგვირგვინდებოდა. და რამდენადაც ხალხი თვისი ბედის გამგე გახდება, მით უფრო მოიკიდებს ფეხს მშვიდობიანობის იდეა. ხალხი ღრმად ჩასწვდება მოვლენათა სიღრმეს, და ეცდება იმ მიზეზთა მოსპობას, რომლებიდანაც წარმოსდგება მილიტარისტული ბოროტება. მომავალ „ბედის-წერაზე" სასოწარკვეთით ლაპარაკი არ გვმართებს. დღევანდელ ტყვია წამლის კვამლში მაინც მოსჩანს სხივი უკეთესისა. მაქს ნორდაუ მომავალ „ბედის-წერაზე" ასე სწერდა:—„ამ მოკლე ხანში, ევროპა ვერ ასცდება ერთა დიდს და ძალმომრეობითი გადაწესრიგებას... მეოცე საუკუნე არა მგონია ისე დასრულდეს, რომ მსოფლიო დრამაც არ დასრულდესო". ამ მსოფლიო დრამის ქვეშ კი ეროვნულ საკითხს ჰგულისხმობდა. იქნებ ასეც მოხდეს. ღმერთმა ჰქმნას.

ის კი უნდა ვსთქვა, რომ ჯერ კიდევ მზადდება მომავალი ცხოვრების თანასწორი კალაპოტები. სიმპტომები მკაფიოდ გამოწეულან ცხოვრების არეულ ფონზე, და ალის ფრად გვიხატავენ პერსპექტივას. რა იქნება—გარკვეულად ამის თქმა შეუძლებელია. საზოგადო ტენდენციებს კი [illegible] მივყევართ.

ვახტანგ კოტეტაშვილი.

---

## ღია წერილი ქართველ მანდილოსანთ

როდესაც თქენ გესმით, ან კითხულობთ, თუ როგორ ჰკვნესის ჩვენი ტკბილი—საყვარელი სამშობლოს თითვეული ოჯახი, დასეტყვილი, წყალ-წაღებული, მშრომელ-შემომტანი, მშიერ-მწყურვალი, ტან-შიშველი, გულზე ცეცხლ-მოდებული ბევრნაირად,—დარწმუნებული ვარ, რომ თქვენს აღელვებას სალზვარი არა აქვს და თვალზე ცრემლ-მომდგარნი ხელების მტვრევით იმეორებთ:—ნეტა როგორ, როგორ შევძლო ჩემის ძალით მათი დახმარებაო!

ასეთს თქვენს მამული-შვილურ გრძნობას საშუალება ეძლევა დაკმაყოფილდეს და თქვენც სიხარულით შეეგებებით საქველმოქმედო საზოგადოების სასარგებლოდ ხარფუხის საზოგადოების კლუბის მამასახლისთა განცხადებას, შესახებ 8 ენკენისთვის სეირნობისას. ეს სეირნობა იქნება პირველი დღე თბილისში ჩვენი ტანჯული, დიდად დაზარალებული ხალხის სასარგებლოდ გამართული.

ამიტომ მოგიწოდებთ ყველას, მხურვალე მონაწილეობა მიიღოთ ამ დღეს; ჩვენი ხალხის გაჭირვება ამ ჟამად არავის გულს ისე არ უნდა ხვდებოდეს, როგორც ქალისას, ვინაიდგან გაოხრებულ ოჯახში ერთად-ერთს ქალს აწევს მოვალეობა მისი გაძღოლისა. ერთად-ერთი ის გმინავს აუტანელ ტვირთ ქვეშ, ერთად-ერთს მას შესტირის მშიერი ჩვილი, სნეული მოხუცი! და ჩვენც ხომ მშობლები ვართ! მივხედოთ იმ საბრალოს! ოდნავ მაინც გავუადვილოთ გამწარებული ცხოვრება! იგრძნოს მაინც და მით მოიცეს გული, მხნეობა, რომ მარტო არ არის, რომ ჩვენც, შედარებით ფუფუნებაში მყოფნიც მასთანა ვართ, გვესმის მისი გოდება, ვგრძნობთ მისი გულის კვნესას! ის ხომ დედაა ჩვენი ვაჟ-კაცებით გაჩანაგებული სამშობლოს მოზარდი შვილებისა და მაშ რაღა გვაქვს ამაზე მეტი საზრუნავ-საფიქრებელი, თუ არა მათი შველა, რომ შიმშილითა და სიცივით ისინიც არ დაგვეხოცნენ!

დიდია, მანდილოსანნო, უბედურობა ჩვენს კარს მომდგარი და მაშასადამე დიდია ჩვენი მოვალეობაც მის დასახვედრად. და რამდენადაც მაღლა სდგას ვინმე რაიმე ხარისხით ცხოვრებაში, მით ხომ უფრო მეტია მისი ეს მოვალეობა სამშობლოსადმი. დიდი თამარი ასე იტყოდა: ჩემი ბედნიერება—ხალხის კეთილ-დღეობააო!

მაშ განურჩევლად ყველამ მოვკიდოთ ხელი საზოგადოდ ჩვენი ხალხის დახმარებას და კერძოდ კი იმ სეირნობის ხელის შეწყობას.

არავინ არ არის სხვა მისი პატრონი, არავინა! ისევ ჩვენმა მოყვარულმა გულმა უნდა გაუთბოს, ისევ ჩვენმა თანაგრძნობამ უნდა გაამხნევოს მისი დაძრული გული, ისევ ჩვენგან მიწოდებულმა ლუკმამ უნდა დააპუროს მისი მისუსტებული სხეული! და ამ გვარად მიწოდებულს ცოტასაც უფრო შეირგებს!

სეირნობის ხელის შეწყობა შეიძლება ბევრნაირად. სხვათა შორის სანოვაგით, ყვავილებით, ხილეულობით, ყოველ ყვავილს, ერთ კოლოფს ტკბილეულს, ერთ გირვანქა ყველსაც კი დიდი მნიშვნელობა ექნება, ყველასაგან შეწირულს.

მაშ გთხოვთ ერთ-სულოვნობას, რომ პირშავად არ დავრჩეთ იმათ წინაშე, სასოებითა და იმედით რომ ჩვენსკენ მოუპყრიათ თვალი და ელიან დახმარებას!

მანდილოსანნო, დაესწარით თქვენი პატარა, გრძნობიერი შვილებით იმ სეირნობას!

P. S. სანოვაგის მიტანა შეიძლება კლუბის შენობაში (მიხაილოვის პროსპექტი, № 131) ორშაბათიდან.

ნინო ყიფიანი.

---

## ბეჭდვითი სიტყვის საერთაშორისო კონგრესი

სან-ფრონცისკოში გამართულ ბეჭდვითი-სიტყვის საერთაშორისო კონგრესის წარმომადგენლებმა ერთხმად და დიდის აღტაცებით საძირკველი ჩაუყარეს მთელი ქვეყნის ბეჭდვითი სიტყვის კონგრესის მუდმივ ორგანიზაციას. კონგრესის მი-

ზანია, თათბირის, კამათის და შეერთებული ძალღონით წინ წასწიოს ჟურნალიზმის საქმე. კონგრესის წევრად შეუძლია გახდეს ყველას, ყოველი კუთხის კალმოსანს, რომელიც მუშაობს ჟურნალიზმის ამა თუ იმ დარგში, და რომელიც ეტრფის ბეჭდვითი სიტყვის ამაღლებისა და კეთილდღეობის მიზანს.

კონგრესი პირველად გაიმართება ავსტრალიაში, ქალაქ სიდნეეში, 1918 წ. მარტსა და აპრილში.

## რუსეთის ცხოვრება

**თათბირი სურსათის თაობაზე.** 29 აგვისტოს საგანგებო თათბირი გაიმართა მიწის მომწყობისა და მიწის მოქმედების მთავარ გამგებლის კრივოშეინის მეთაურობით. თათბირს დაესწრნენ სახელმ. საბჭოსა და სახელ. სათათბიროს წევრები. ამ საგანგებო თათბირის საგანი ასე განმარტა თვით თავმჯდომარემ: გამორკვევა და გაერთიანება იმ ღონისძიებათა, რომლითაც მთავრობამ უნდა მიმართოს ჯარისა და ფლოტისათვის სანოვაგის ან ფურაჟის დასამზადებლად, აგრეთვე იმ დაწესებულებათა მოქმედების შეთანხმება, რომლებიც ემსახურებიან მცხოვრებთა გამოკვების საქმესო".

**პოლონელთა უფლებრივი მდგომარეობა.** სახელმწიფო საბჭოს პოლონელმა წევრებმა მოხსენება დაუგზავნეს სახელმ. საბჭოს და სახ. სათათბიროს წევრებს. მოხსენება აღნიშნავს პოლონელის უფლების შეზღუდვას მიწის შეძენისა და მფლობელობის საქმეს და გამოსთქვამს იმ აზრს, რომ 1865 წლის კანონი, რომელიც დაედო საფუძვლად პოლონელთა მიწის მფლობელობის შეზღუდვას, ხანგადასულად უნდა ჩაითვალოს და გაუქმდესო. შემდეგ აღნუსხულია პოლონელის უფლების შეზღუდვა სახელმწიფო სამსახურში, თუმც ეს შეზღუდვა სახელმწიფოს ძირითად კანონებში არ არის გატარებული.

ასე მაგ. დასავლეთ მხარეში მოსამართლის ადგილს არ აძლევენ არც პოლონელს და არც იმ რუსებს, რომელთაც პოლონელი ქალები ჰყავთ ცოლებად. სამხედრო აკადემიაში პოლონელებს არ იღებენ. პოლონელ ოფიცერს და იმ რუს ოფიცერს, რომელსაც პოლონელი ქალი ჰყავს ცოლად, სამსახურის ზოგიერთ სპეციალ ნაწილში არ უშვებენ, ზოგ ნაწილში მხოლოდ განსაზღვრულ პროცენტს იღებენ. არც თავად-აზნაურთა მარშლებად ინიშნებიან პოლონელები, ასე რომ მარშლის ადგილი ხშირად სრულიად უცნობს უჭირავს.

— მოსკოვში 7—10 სექტემბრამდე გაიმართება საერთო საერობო და საერთო საქალაქო ყრილობები. კრებების საგნად დასახელებულია გამოქცეულთა საკითხი და დაჭრილების ევაკუაცია.

## ჩვენი ცხოვრება

**დ. სურამი.** (გორის მაზრა) დადგა შემოდგომა და მთელ არემარეს თავისი ელფერი დასდო. სურამსაც რაღაცნაირად აზმორებს თითქოს ზაფხულის ხმაურობამ მეტად დაჰღალაო. ქარი და წვიმაც ამგვარ მიძინებას ხელს უწყობს „ღამე მშვიდობისაო“ ეუბნებიან მთქნარებით ერთმანეთ სურამლები და ყურბალიშს და საბანს ისწორებენ ჩვეულებრივ საზამთრო მოსვენებისთვის. იმდენად მიზანტებულა სურამელთა ბუნება, რომ ერთ ვაჟბატონს გვარად გუნცაძეს, რომელმაც თავთ უდვია აქაურობის ელექტრონით განათება, გადაუწყვეტია რომ ძილისთვის ელექტრონი მეტად მავნებელია, ამიტომ საჭირო მანქანები გაუყიდნია და ეს კვირაზე მეტია მთელი სურამი სიბნელით არის მოცული. ასეთი დაცინვა და აბუჩად აგდება საზოგადოებისა მით უფრო საგულისხმიეროა რომ ბ. გუნცაძეს ხელშეკრულობა აქვს სურამის საზოგადოებასთან ანათოს ელექტრონით სურამი მომავალ მაისამდის.

მაგრამ რა დაცინვა, რის აბუჩად აგდება საზოგადოებისა.... ამის შეგნება რომ იყოს მაშინ ხომ ველარ იბატონებდნენ ასე თავისუფლად ამ გვარი ვაჟბატონები. საჭიროა თვით საზოგადოება სცემდეს თავისთავს პატივს, მაშინ არც სხვებისგან იქნება დაბრიყვებული. სურამის „მშვენიერ განათების“ შესახებ კი მხოლოდ ერთს ვიტყვით: გაგვიგია, ელექტრონის შეტანა დაბა-სოფლებში კულტურის და განათლების ნიშანია.

ბ. გუნცაძემ კი სურამს სწორედ საწინააღმდეგო სამსახური გაუწია: განათლება კი არა დაბნელება შემოიტანა.

ნეტავ როს გველირსება ჩვენ განათება?

**დროებით აქაური.**

---

**ქ. ახალციხე.** როგორცა სჩანს, საკმარისი არა ყოფილა ის აუწერელი უბედურობა, რომელიც ახლანდელმა უმაგალითო ომმა მოგვიძღვნა. ბუნებაც თავის მხრით არ იშლის და ახალ-ახალ მრისხანე მოვლენით გვიმასპინძლდება. წრეულს როგორც სხვა მხარეს, ისე ჩვენსკენაც, მოსავალი ძალიან ნაკლებია. პური და ქერი უკვე გალეწეს და დარწმუნდნენ, რომ სათესლეთაც ძლივს ეყოფათ. სიმინდიც აიჩალა. ხილი ხომ უდროოდ მოსულმა თოვლმა კუკურებში მოსპო. ესეც არ გვაკმარა და თუ აქამდის საქონელი იტანჯება და საშინელ სენით, თურქულით, ახლა ხალხს მოედო მუცელა. ისედაც გაწყალებული ხალხი, სულიერად თუ მატერიალად, ამ უკანასკნელმა უფრო გააწყალა. რაც გინდ ღონიერი ვაჟკაცი იყოს, მაინც სძალავს ავადმყოფობა. აფთიაქის კარზედ ყოველდღე შეხვდებით მწარედ დაძონძილ ქალსა თუ კაცს, რომელნიც საცოდავად იკლაკნებიან ტკივილებით, და მეაფთიაქეს ემუდარებიან, რომ რაიმე „კაპლი“, მისცეს. და თუ დიდები, როგორც არის იტანენ ავადმყოფობას, სამაგიეროდ ბავშვებს კი ესწრაფებათ სიცოცხლე. თუმცა აქ დაარსებულია სამოქალაქო საავადმყოფო, რომ უსასყიდლოდ გაემართოთ ხელი ღარიბ ავადმყობთათვის, მაგრამ, როგორც სჩანს, უმრავლესობას ვერ აკმაყოფილებს და წამლის უქონლობა აჭირვებს საქმეს. ვისაც ცოტამაინც შეძლება აქვს, ებრძვის, ვისაც არა და მსხვერპლი ხდება ბუნების ამ უებარ საჩუქარისა.

ამ ერთი კვირის წინედ, ადგილობრივმა მებაღე ბერძენმა, კოსტანოვმა თავის ბაღში თოფით მოჰკლა ახლად გაწვეული ჯარის კაცი და ორიც დასჭრა. ჩვენების ჩამორთმევის დროს შემდეგი განაცხადა: საღამოს ექვსი საათი იქნებოდა რომ ჩემი ბაღისწინ ჩამოიარეს ახალმა გაწვეულმა ჯარისკაცებმა. სამნი შემოვიდნენ და ხილი მთხოვეს. მე დავაკმაყოფილე. ისინი ჯერ არც კი გასულიყვნენ, რომ დაიძრნენ და სუყველანი შემოცვივნდნენ, მოედვნენ ბოსტანს და დაუწყეს ფეხით თუ ხელით განადგურება. როცა ვუთხარი, რომ გაჩერდით და რაც გინდათ მე თვითონ მოგცემთო: მათ ქვები დამიშინეს. იძულებული ვიყავი ძალა მეხმარა. მეც ავიღე საფანტით გატენილი თოფი და რამდენჯერმე ჰაერში დავცალე. მეგონა შეეშინდებოდათ და გაიქცეოდნენ, მაგრამ იმათ უარესად დამიშინეს ქვა. მეტი ჯანი არ მქონდა, ვესროლე საფანტით, დაიჭრა ერთი, კიდევ არ წავიდნენ, კიდევ ვესროლე, დავჭერი მეორე, არ წავიდნენ. ამასობაში საფანტი გამომელია და იძულებული ვიყავი ტყვია მეხმარა, რომლითაც ერთი მათგანი მოვკალიო, მერმე კი გაქცეულან.

გამოძიება სწარმოებს.

ოცდა შვიდს ამთვეს, კიდევ შემდეგი საზარელი მკვლელობა მოხდა. ღამით, ბოროტმოქმედებს გაუტყუილებიათ ქალაქ გარედ ბაღში, ქუჩის დარაჯი, ნიკო ხუციშვილი. ჯერ ხანჯლით მუცელი გამოუფაშვამთ და მერმე კი ყელი გამოუჭრიათ. მეორე დღეს იპოვეს. გაჩნდა საჩქაროდ პოლიცია, მოიყვანეს მაძებარი ძაღლებიც... დააპატიმრეს ეჭვით რამდენიმე კაცი. თუ რა ნიადაგზედ მოხდა მკვლელობა, გამოურკვეველია. მოკლული არ ყოფილა ისეთი კაცი, რომ ვისთვისმე თავი შეეძულებინოს, რომ ასე მხეცურად მოეკლათ. მოკლულისთვის რევოლვერი წაურთმევიათ. ჯიბეში ოცდა ცხრა მანეთი ისევ ხელუხლებელი ჰქონდა. საათიც არ წაეღოთ. მკაცრი გამოძიება სწარმოებს. თუმცა მკვლელი ვერ იპოვეს.

**ავნეველი.**

---

**ქვემო-ქიზიყი.** ქვემო-ქიზიყი მუდამ მორჩილია მთავრობის განკარგულების აღსრულებაში, მაგრამ გაუგებარი და დაფარული, უმიზნო და უშინაარსო და დროის შეუფერებელი ბძანების აღსრულებას კი, არა მარტო ქიზიყელი, თვით შეუგნებელი ადამიანიც გაუწევს ანგარიშს. რაღაც საიდუმლო და საეჭვო ბძანებით ქიზიყის 13 სოფელმა უნდა გამოიღოს კომლზე ორი და ათი შაური და გაყვანილი უნდა იქმნეს გზა სიღნაღიდგან დ. დედოფლის-წყარომდის (თუქურმიშა).

გზატკეცილის გაყვანა და მით მისვლა-მოსვლის გაადვილება დიახაც რომ საჭიროებას შეადგენს ყველასათვის და უმეტესად მეურნე ქიზიყისათვის, რომელიც მზად არის კისრად იდვას ესეთი გაკეთება, მაგრამ დღეს, ამ ომიანობის დროს, როდესაც ოჯახს მომუშავე მარჯვენა აღარა ჰყავს, ომშია გაწვეული და მცხოვრებნი ისეც გასაჭირში არიან პურისა და ღვინის მოუსავლობით, სწორედ რომ ოჯახის ძალად შევიწროებას მოასწავებს ზემოხსენებული ბძანების აღსრულებაში მოყვანა.

ხალხი ჩივის და ტირის და ითხოვს: ამ დროს ნუ გაგვაკეთებინებთ გზას და ნუ გადაგვახდევინებთ ორსა და ათ შაურს, გვადროვეთო და თუ გადაგვხდება, ე'ი მაინც გაგვაგებინეთ, ვისი განკარგულებით კეთდება ეს გზა, როგორ მტკიცედ უნდა გაკეთდეს იგი, ვინ არის ამ გზის იჯარით ამღები და სხვა, მაგრამ ამნაირს კითხვებზე არავითარი დამაკმაყოფილებელი პასუხი არავისაგან არ არის. როდესაც მამასახლისებმა მომრიგებელ შუამავალთან თხოვნა შეიტანეს: გვიშუამდგომლე, რომ გზის გაკეთება გადადებულ იქმნესო, თურმე მან უპასუხა: თქვენ თავს თქვენ მოუარეთო. საკვირველ არიან საქმენი შენი უფალო! მაშ ვისი ვალია შუამავლობა?

გზა უკვე კეთდება. როგორც მამასახლისების ზეპირ გადმოცემიდგან სჩანს გზის გასაკეთებლად, უკეთ ვსთქვათ, შესაკეთებლად და „გასაფუჭებლად“ ქვემო-ქიზიყის სოფლებიდგან უნდა მოქუჩდეს დაახლოებით 35000—40000 მანეთი და ამ ფულით შეკეთდეს 25—27 ვერსის მანძილი. ოცდაათი ვერსიც რომ ვიანგარიშოთ, მაშინ თვითეულ ვერსის გაკეთებას მოუნდება 1200 მან. ბატონებო, ამდენი ფულით ხომ რკინის ლიანდაგიც დაიგება! ეს რანაირი თვალების აბმაა ხალხისა?!

გზის კეთება დაიწყეს და აბა მოისმინეთ როგორ კეთდება: მამა-პაპათაგან ამორჩეულ და გატკეცილ გზის მიმართულებას აქეთ-იქიდან (ერთმა მითხრა ცალი მხრიდგანო) უთხრიან თხრილებს (კანაოს) სიგანით სამი მეოთხედი და სიღრმით ნახევარ არშინზე (ალბად მეტი მიწა არ ამოვიდეს და ძალიან არ ალაფდესო). ამოღებულ მიწა-ლაფს თხრილების შუა ჰყრიან და მერე უნდა წაიპერანგოს ქვიშით (ისიც ქვიშით) **ერთს თუ ორ ვერშოკის სიმაღლეზე.**

როგორც ამბობენ თითონ მამასახლისები, ეს გზა „ტორგით“ აქვთ აღებული ძმ. ბაზაზი გიგო და მემატყლე ვასო ლაპიაშვილებს. არ ვიცით მუშა ხელის სიძვირისა და უშოვნელობისა თუ შებრალებისა გამო (უფრო ჯიბის გასქელებისთვის) გზაზე მუშაობენ ტუსაღები.

ამ ერთი კვირის განმავლობაში უკვე შეკეთებულია ერთი მესამედი, მანძილი ორი კვირაცა და გზა მზად იქნება გიხაროდენ ქიზიყელებო!

რადგანაც ზოგი მამასახლისი მშიშარა გამოგვადგა წინაშე ადგილობრივი ინჟინერ-ბოქაულ-შუამავლისა და ზოგს მამასახლისს შეიძლება ხელიც ჰქონდეს ჩაყოფილი ფულის კოჭობში და ამის გამო ხალხმა ვერ მიახწია ამ საქმის მიზეზთა დასაბამს, და მეორედ, რადგანაც „ტორგის“ ამღებნი და შედეგი გზის კეთებისა თვალად სჩანს, მივმართავთ თხოვნით ბ-ნთ ლაპიაშვილებს როგორც ჩვენს თანამოძმე გლეხებს, ნუ დაგვზარდებიან და გაზეთის საშუალებით მაინც გვაცნობონ! შემდეგი: ვისგან და როდის იყო დანიშნული ეს ფარული „ტორგი“? (ტორგი საჯაროა). გაქვთ რამე ხელშეკრულობა და ვისგან, ან რა პირობებია მოხსენებული ამ ხელშეკრულობაში? ვინ არის პასუხისმგებელი, უკეთუ თქვენი შრომის ფული არ მოგეცათ რომელიმე მიზეზით? შემდეგ გზის დამთავრებისა ვინ უნდა იყოს შემამოწმებელი მის სიავისა თუ სიკარგისა? ვერსზე რამდენს თუმანს იღებთ და სხვა.

თუ ამის გამომჟღავნებას ლაპიაშვილები არ ინებებენ, ვთხოვთ ადგილობრივ მოხელეთ, ვისიც ჯერ არს, და თუნდ ინტელიგენტ მამასახლისთ (ზ. ნაც—ლს) ყველა ზემოხსენებული ცნობები გაგვაგებინონ.

ყველა ეს საჭიროა ჩვენ გლეხთათვის, რადგანაც ჩვენი და არა სხვისი ფულით კეთდება ეს გზა.

**ხალხის-შვილი.**

## დეპეშები

**პეტროგრადი,** 4 სექტ. რუსის ტყვეებს უცხოეთში ეკრძალებათ მშობლებმა და ნათესავებმა გაუგზავნონ ლითონის ნივთი, ხიზილალა, მაგარი სასმელი, სამკაულები და ლითონის ყუთი, რაშიც ამანათი იქმნება ჩადებული. ნება დართულია გაეგზავნოთ ტყვეებს ხმელი პური, ქონი და კალბასი.

**ლონდონი,** 3 სექტ. ადმირალტეისტვო იტყობინება, მოწინააღმდეგის ცნობა დარდანელში წყალქვეშა ნავის დალუპვისა, სამი აფიცრის და 25 მეზღვაურის ტყვედ ჩაგდებისა როგორც სჩანს მართლდება, რადგან 24 აგვისტოდან იმ წყალქვეშას ამბავი აღარ გაგვიგიაო.

საერთო რიცხვი დაღუპულ ინგლისელთა მეომრებისა პირველ სექტემბრის გამოქვეყნებულ ცნობით მოკლულია 1180 ოფიცერი, დაჭრილი 2,371, უკვალოდ დაიკარგა 373, ჯარის კაცი, მოკლულია 16,404, დაჭრილია 59,257, უკვალოდ დაკარგულა 8721.

**სტოკჰოლმი,** 4 სექტ. ნეიტრალ სახელმწიფოებს გერმანეთის მთავრობამ თეთრი წიგნი დაუგზავნა, სადაც მოხსენებულია, რომ ინგლისმა და საფრანგეთმა ევროპის ბრძოლის ასპარეზზე ჭრელი ჯარი გამოიყვანა, რაიც საერთაშორისო უფლებას და ხელშეკრულებას ეწინააღმდეგებაო.

**პარიზი,** 3 სექტემბერი. საღამოს ოფიციალი ცნობა. ბელგიაში, ნიუპორთან ფრანგების არტილერია მარჯვედ ესროდა მტრის პოზიციებს, ნევილ როკლენკურის რაიონში. არრასის მიდამოებში, სომმოისა და უაზოის შუა ფრანგების ბატარეები გაუმკლავდნენ გერმანელთა არტილერიას. არტილერია მკაცრად მოქმედებს სეპინიელის მიდამოებში, არხზედ, რომელიც აერთებს ენსა და მარნს, აგრეთვე შალონის ბანაკის ჩრდილოეთითაც. ენსა და არგონს შუა სხვა და სხვა ყალიბის ზარბაზნები მოქმედებენ. სენტ-დბერთან რამდენჯერმე განმეორდა ხელ-ჩართული ბრძოლა. ხმარებაში იყო აგრეთვე ხელით სასროლი ყუმბარები. ფრანგების ბატარეები ლოტარინგიას, სეილს და ნატურეში ანგრევდნენ [illegible] სიმაგრეებს პიუტ[illegible].

**ჰავრი,** 3 სექტემბერი. ბელგიის ოფიციალი ცნობა 2 სექტემბრის თარიღით. ღამეს და დილამ გაიარა სიჩუმეში. დღისით სუსტი არტილერიის ბრძოლა იყო.

## წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო, გთხოვთ უმორჩილესად ალაგი მისცეთ ამ მცირე ბარათს.

შორს სამშობლოს დასაცავად გადახვეწილებს ისარივით გულს მოგვხვდა მოულოდნელი ამბავი. გავიგეთ აღარა გვყავს დიდებული მგოსანი, საუცხოვო მხატვარი ჩვენი მრავალგვარ ბუნებისა, შემაერთებელი მთებისა და ჭალებისა და აღმძრელი ყოველი ნამდვილი ქართველის გულში, სამშობლოსადმი უმაღლესი სიყვარულისა. ვგლოვობთ და ვვალალებთ, რომ აღარა გვყავს უდიდესი მთის არწივი—რომელმაც თვის ხანმოკლე სიცოცხლეში შექმნა მრავალი პოეტური გენიალური ნაწარმოები.

დიდი აკაკის გარდაცვალების შემდეგ, ვაჟას მოგონება ღრმა გულის იარებს მალამოსავით ედებოდა—მაგრამ თითქოს ჯინზედ არ დაგვინდო ბედმა ისედაც მრავლად ტანჯული ერი და უდროვოდ ხელიდან გამოგვტაცა კიდევ ერთი საუკეთესო გამშუქებელი ქართველი ერის წყვდიადი ცხოვრებისა.

—დასავლეთ ფრონტზედ მყოფი ქუთაისის ქართველ ცხენოსან ასეულთა მონდობილობით—შალვა არეშიძე, ფ. გაბუნია და ჯიუ გელოვანი.

28 აგვისტო. შავშეთი.

### ჩვენი ფოსტა.

**ს. კორეხელი, მ. ვ. მაჭარაშვილს.** თქვენი წერილი „პუწკა“ სამწუხაროდ დრო და გარემოების პირობათა გამო ვერ დაიბეჭდება. მოგვაწოდეთ კორესპონდენციები ადგილობრივ საჭიროებათა შესახებ.

რედაქტორ-გამომცემელი
**სანდრო შანშიაშვილი**

### ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

**თბილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| № 3 | ბაქოდან . . . | 12 ს. | 54 წ. | დღ. |
| № 4 | ბათომიდან . . | 5 ს. | 55 წ. | საღ. |
| № 5 | ბაქოდან (სწრაფი) | 7 ს. | 41 წ. | საღ. |
| № 10 | ბათომიდან. . | 9 ს. | 51 წ. | დილ. |
| | ჯულფიდან . | 6 ს. | 53 წ. | დილ. |
| | ბორჯომიდან . | 7 ს. | 25 წ. | დილ. |
| | „ საავარ. | 10 ს. | 28 წ. | საღ. |

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| № 3 | ბათომისკენ . . | 1 ს. | 45 წ. | დღ. |
| № 4 | ბაქოსკენ . . | 7 ს. | 3 წ. | საღ. |
| № 6 | ბაქოს (სწრაფი) | 12 ს. | 8 წ. | დღ. |
| № 9 | ბათომისკენ . . | 8 ს. | 53 წ. | საღ. |
| | ჯულფისკენ . | 10 ს. | 23 წ. | საღ. |
| | ბორჯომისკენ | 3 ს. | 29 წ. | დღ. |

წიგნის მაღაზია
„ახალი სიტყვა“ („НОВАЯ РѢЧЬ“).
ი. დ. კიკნაძისა.
თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.
გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნი; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ.
განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქგარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში. (წ.—35)

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეგველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთ, სახ, № 9, ტელეფონი № 712.
განყოფილება ავლაბარში
კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.
ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ, მაილოვის-შვით“, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი „**მეშოჩნი**“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ელექტრომბეჭდავი სპირიდონ ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ., № 5.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან